# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 29 (1467) 15-19 ივლისი, 1996 წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა


## თენგიზ კიტოვანი: სეპარატისტები გალის რაიონში შემოსვლას არც აპირებდნენ


მე-4 გვ.




## ვახტანგ გოგუაძე: თუ ვინმე კითხულობს ჩემს კითხვა-დაკითხვებს, ჩემს გარკვეულ აღსარებას ერის წინაშე, ვთხოვ . . .


მე-2 გვ.




ოპონენტები რუბრიკისა «ვინ იყო ვინ?»

## კიტოვანის, სიგუას და გოგუაძის აღსარებები მომავლის მემატიანეს საბუთად არ გამოადგება


მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო ვინ?

# მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ვინ იყო ვინ?

ზოგი მწარე და ზოგიც ნელ-თბილი შეკითხვა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს

## მეთერთმეტე კითხვა:

თქვენ პირველმა დააყენეთ საქართველოს ესენგეში შესვლის საკითხი. რას გვაძლევს რუსეთი სუვერენიტეტის დათმობის სანაცვლოდ სამი თითის კომბინაციის გარდა?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" № 26,27,28

# ვახტანგ გოგუაძე: თუ ვინმე კითხულობს ჩემს კითხვა-დაკითხვებს, ჩემს გარკვეულ აღსარებას ერის წინაშე, ვთხოვ . . .

— ესენგეში შესვლას მწარე ოპონენტებიც ჰყავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეშტარიც ბევრი გამოუჩნდა. ვჩუქნი, ვისაც გაუხარდება. თუ ნებას მომცემთ, შორიდან მოვუვლი, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ.

1993 წლის ივნისის პირველ დღეებში გამოცხადდა — ბატონი ედუარდი თვის მეორე ნახევარში მიემგზავრება გერმანიაში, შეხვდება გერმანიისა და ნატოს ხელმძღვანელებს, შემდეგ კი უკრაინაში დაასრულებს ვიზიტს. მივედი და ვთხოვე:

— იქნება დაუძახოთ ნანა ღონღაძეს და რუსეთის ტელევიზიას მისცეთ წუთნახევრიანი ინტერვიუ. გკითხავს — ბატონო ედუარდ, თქვენი ვიზიტი გერმანიაში, ნატოსა და უკრაინაში ხომ არ გამოიწვევს რუსეთის გარკვეული წრეების გაღიზიანებას. უთხარით, რომ ამოდენა ძალა მოახმარეთ რუსეთის დემოკრატიზაციასა და დასავლეთთან დემოკრატიული კავშირის დამყარებას. თუ არა მართლა კიდევ მოგვიწევენ რაღაცას... მისმინა, მისმინა... ერთი კვირის შემდეგ კვლავ შევახსენე... მისმინა, მისმინა, მაგრამ არაფერი.

გაფრინდა ბატონი ედუარდი. 24 ივნისს არტილერიის ცეცხლში გაეხვია სოხუმი. ბატონ ედუარდს ბინაში ვესაუბრები, ინფორმირებული იყო. მკითხა, ხომ არ შევწყვიტო ვიზიტი და დავბრუნდეო. ვუთხარი, არ ივარგებს. ვეცდებით, ვიმოქმედებთ თქვენი სახელით. ამასობაში ირაკლი ბათიაშვილმა დარეკა.

— ბატონო ვახტანგ, იცით, ალბათ, რა საშინელებაა სოხუმში. იქნებ თქვენთან შევიკრიბოთ...

— ირაკლი, მეორე პირი ბატონი თენგიზ სიგუაა. მე ახლავე დავურეკავ და მასთან შევიკრიბოთ. გადმოგირეკავ.

საღამოს, ალბათ 10 საათი იქნებოდა, შევიკრიბეთ ბატონ თენგიზთან. რუსეთის ელჩი, საელჩოს თანამშრომელი „გრვზ"-ს სარდლის მოადგილე ბალუევსკი და სხვები. რომ შევედი,



კამათი უკვე გაცხარებული იყო. ალაგ-ალაგ დოკუმენტური სიზუსტისათვის დიალოგის რუსულად გადმოცემის გამო ბოდიშს ვიხდი.

თენგიზ სიგუა ზემსკის: „Что это происходит, немедленно зафиксируите, что Россия ведет против Грузии необъявленную войну. Мы поднимем весь народ, чтобы ни одного русского солдата не было в Грузии".

კოტე გაბაშვილი: „Что это в конце концов, в партизаны пойдем, в муджахеды пойдем, будем бороться..."

გულწრფელად უნდა გითხრათ, ამ გაცეცხლებას სრული საფუძველი ჰქონდა. სოხუმში ჯოჯოხეთი ტრიალებდა.

ზემსკი: „Ну зачем такие крепкие слова, если я действительно зафиксирую, что Россия против Грузии ведет необъявленную войну, что это вам даст, какую пользу вы извлечете, тем более, когда, вы, ведующие лица, в руководстве страны так говорите, что скажет народ".

ზემსკიმ ვაჟკაცური პირდაპირობა არჩია და არ დაუწყია ყალბი დაყვავება. როგორც ფიქრობდა იმ წუთას, შეწუხებულმა, ორ ცეცხლს შუა მყოფმა დიპლომატმა, ისე გამოხატა თავისი სათქმელი.

— Владимир Василиевич, мы же друзья.

– Да, конечно, Вахтанг Власович!

– Я Вас прошу, по дружески, по братски, не стоит терять минуты, пойдем ко мне, у меня все телефоны стоят, давайте поднять политическую тревогу на всех уровнях Москвы, – чтоб прекратить огонь в Сухуми.

სიგუამ თქვა — აქ, რა ნაკლები ტელეფონებია, აქედან დარეკოსო. ზემსკის იდეა მაშინვე მოეწონა და თქვა, მაშინ წავალ და ჩემგან დავრეკავო. დავთქვით, ერთ საათში კვლავ შევიკრიბებოდით. ზემსკი წამოდგომას აპირებს.

– Владимир Василиевич, скажите пожалуйста, что вы безрезультатно не вернетесь.

– Постараюсь, Вахтанг Власович,

– О, нет, нет, это не тот ответ, присущий моему другу, Владимиру Василевичу. Скажите, что обязательно добетесь цели.

– Ну, Вахтанг Власович, что в моих силах...

– Владимир Василиевич, я вас прошу по братски, я знаю ваши возможности. скажите внутренным построем, с рвением, с уверенностью, что обязательно достигнете цели.

ზემსკის გაეცინა და ხელი ჩაიქნია, ну хорошо, хорошо, მიხვდა, რომ მივხვდი. გადავკოცნე ისიც და ბალუევსკიც. კარის ზღურბლზე რუსეთ-საქართველოს წმინდანებიც დავაფიცე.

იმ შეხვედრაზე ის გაცეცხლებაც საჭირო იყო და ის დაყვავებაც. შევიკრიბეთ, ასე,, ღამის 12 საათი იქნებოდა. ზემსკიმ მოგვახსენა:

— Переговорил с Андреем Владимировичем Козыревым, с 00 часов огонь будет прекращен. ყველას გაგვიხარდა, მადლობა გადავუხადეთ ბატონ ზემსკის.

26 ივნისს დილით სოხუმში მივდივარ. ირაკლი ბათიაშვილმაც გამოთქვა სურვილი. შემთხვევით მოსული დეპუტატები თამრიკო ჩხეიძე და გელა ნიკოლაიშვილიც შემოუერთდნენ ჩვენს გზას.

26 ივნისს სოხუმში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის კაბინეტში, ჩავატარეთ თათბირი. აქ იყვნენ ბატონები: თამაზ ნადარეიშვილი, ლორიკ მარშანია, რამაზ სიჭინავა, ბორის კაკუბავა, თბილისიდან ჩასულები, ჟურნალისტები (ბოდიშს ვიხდი, ყველას თუ ვერ ვასახელებ).

ჰყვებოდნენ, თუ რა ჯოჯოხეთი იყო აქ გუშინწინ, 24 ივნისს. ითქვა: რისთვის ვიხოცებით, ვისთვის ვიხოცებით, „კროლიკები" ვართ თუ ადამიანები.

გაგრძელება მე -8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვერდიდან

კითხვაზე, გვეშველება რამე? — არა — ვუპასუხე მე. არაფერი არ გვეშველება.

ამან გააცხარა და დააინტერესა ზოგიერთი. ერთმა მკითხა, რატომ, რას ჰქვია, არ გვეშველება, ნუთუ გამოსავალი არაა, რას აკეთებს ხელისუფლება და ა.შ.

— თუ სიმართლეს ახლა მაინც არ ვიტყვით, ასე ამოვწყდებით. ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობთ — ვუპასუხე მე.

— ასე არ შეიძლება — თქვა რამაზ სიჭინავამ, — არძინბა ამ რუსებს ძმებს ეძახის, იქნება ჩვენც გავიგოთ, რა უნდათ, ბაზები უნდათ, აფხაზეთში დასვენება...

— აი, აი იქნება გავარკვიოთ, რა შეგვიძლია რუსეთთან. თუ მისი დამარცხება არ შეგვიძლია, რატომ უნდა გვაჯობოს არძინბამ ჭკუით, რატომ უნდა დავმარცხდეთ რუსეთთან?

— ვერ დაგეთანხმებით, ბატონო ვახტანგ, ჩვენ რომ რუსეთის იმპერიის დამარცხება არ შეგვეძლოს, ეს მე არ მჯერა — მითხრა ერთმა სოხუმელმა.

— თქვენ არ გჯერათ, მაგრამ მე მჯერა, რომ არ შეგვიძლია რუსეთის დამარცხება.

იმ სოხუმელთან კეთილი დამოკიდებულება მაქვს ეროვნული მოძრაობიდან. ახლა მის სახლში, სოხუმში, გადამთიელი ცხოვრობს. ამ ერთი წლის წინ ერთ ახლობელთან შევხვდით. ჭიქა ავწიე და ჩვენი საერთო მეგობრის, მასპინძლის კურთხევით ვთქვი: მოდი, იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა სოხუმში, შენს სახლში შენს დაბრუნებულ ჭერს დავლოცავთ. მე პირადად, მზადა ვარ თქვენგან, ეროვნული მოძრაობის რიგი წევრებისაგან ნებისმიერი იარლიყის ლანძღვა ვისმინო, ოღონდ ეს ოცნება შემისრულდეს, შენ გაგიმარჯოს.

— დიდი მადლობა, ბატონო ვახტანგ, თქვენ დიდ პატივსა გცემთ და გვიყვარხართ, მაგრამ აი, იმ „ესენგეს“ საკითხში არ გეთანხმებით.

— გახსოვს, სოხუმში რომ მიმტკიცებდი, რუსეთის იმპერიის დამარცხება რომ არ შეგვეძლოს — ეს მე არ მჯერაო?.. ვიფიქრე, იუარებს, — როდის ვთქვიო. ამის ნაცვლად მეუბნება — ხომ ვიყავი სწორიო. ის კაცი მართლა გულიანი პატრიოტია. განა მე არ მომწონს მისი შეურიგებლობა, მაგრამ ხომ ამ ცნობიერებამ დაგვაკარგვინა, რაც დაგვაკარგვინა. მე არ მესმის ისეთი პროტესტისა, რაც ჩემს ქვეყანას ესოდენ ტრაგედიას მოუტანს.

სოხუმის ამ თათბირმა (26 ივნისს) გარკვეული ეტაპი შექმნა იქ მყოფთა, ყველა ჩვენთაგანის ცნობიერებაში. რეალისტურად ისაუბრა თამაზ ნადარეიშვილმა. ვკითხე კიდევაც, სამშაბათს პარლამენტზე იტყვი ამას, რაც ახლა თქვი? მართლაც, სამშაბათს რეალისტურად ისაუბრა ბატონმა თამაზმა. პარლამენტის ნაწილს მთლად არ მოეწონა ეს ტონი...

სოჭის შეთანხმების ისტორიაზე საკმაოდ ვისაუბრეთ. ითქვა ისიც, რომ 27 ივლისიდან თვენახევარი, ტყვია არ გავარდნილა აფხაზეთში. 16 სექტემბერს, დაირღვა იგი. იმ დღესვე ბატონი ედუარდი წავიდა სოხუმში, დაიწყო ულმობელი შეტევა სოხუმზე. სოჭში (თუ არ ვცდები 17 სექტემბერს) ბატონი ედუარდი, ყარყარაშვილი და გრაჩოვი შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც ცნობილია, გრაჩოვმა შესთავაზა — შემოვიყვან ორ დივიზიას, სპეცნაწილებს, ჩავკეტავ გზებს და გავაჩერებ ომსო.

უთხრეს: Это будет оккупация. თანხმობა ვერ მიიღო გრაჩოვმა, გაბრაზდა და წავიდა. ომის საშინელება აუტანელი ხდებოდა. ბატონ ედუარდს ვთხოვე რამდენიმეგზის მეც ჩავსულიყავი მასთან. ყოველთვის უარი მივიღე — აქ რა უნდა აკეთო, იქ ხომ უნდა იყოს ვინმე. იმ ღამეებს პარლამენტის შენობაში ვათევდი. რატომღაც სიცხე მქონდა, არა გაცივებისაგან. რამდენიმეგზის მივედი „გრვზ“-ის შტაბში ბატონ რეუტთან. დახმარებას ვთხოვდი — რა ვქნა, აბა, ამის უფლება არა გვაქვს — აბა იმათ რომ დაეხმარეთ? — ისინი „ესენგეს“ ქვეყნებია, ხელშეკრულება გვაქვს სამხედრო თანამშრომლობაზე. ბევრი ვიფიქრე, ვიფიქრე... ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან დარჩენილია მხოლოდ საქართველო. ბალტიისპირეთის ანალოგებს თავი დავანებოთ. ისინი საბჭოთა კავშირშიც სტუმრად იყვნენ, მათ მიმართ მსოფლიო პოლიტიკასაც გარკვეული ჰქონდა თავისი ინტერესები. ხშირად ვუყურებდი საქართველოს რუკას, შაგრენის ტყავივით რომ პატარავდებოდა. კავკასიის ორი რესპუბლიკა „ესენგეშია“. „ესენგეში“ შესვლა რომ ბედნიერება არ არის, ვიცი, მაგრამ არშესვლა რომ განადგურებაა, თვალწინ გვაქვს ყოველივე. იმ დღეებში აფხაზეთის ომის ერთ-ერთ წამყვან პირს ჩამოვუგდე საუბარი. დამეთანხმა, — თუ რუსეთთან არ მოვაგვარეთ საქმე, ყველაფერი დაღუპულია... თუმცა ტრიბუნაზე ან პრესაში ამას ვერ ათქმევინებდი, ისევ ქართული მუშტის იმედით ლაპარაკობდა. რუსეთს როცა „ესენგე“ მივუმატე, იმ სარდალმა პა, პა, პა... ხელი ისე ამაფარა პირზე, გეგონებოდა ჩემი პირიდან გორინიჩი (გველ-ურჩხული) უნდა ამოსულიყო. სახლშიც კი ვერ ვბედავდი „ესენგეს“ ხსენებას. მე არ მახსოვს არცერთი შემთხვევა საქართველოს პრესაში, ტრიბუნა, ან აუდიტორია, სადაც ეს სიტყვა წყევლა - კრულვის გარეშე მოეხსენებინოთ. ერთადერთი კაცი, ვინც უფლებამოსილად მისაყვედურა (მოგვიანებით, პარლამენტზე „ესენგეს“ რატიფიკაციის წინ) ეს იყო ბატონი ასლან აბაშიძე. მან მითხრა, ეს დაგვიანებულიცაა, მე, თქვენგან განსხვავებით, „ესენგედან“ არც გავსულვარო. ცხადია, აქ იურიდიული მნიშვნელობა არ იგულისხმებოდა. მაგრამ იგულისხმებოდა სრულიად უშიშარი, ღია ურთიერთობა რუსეთის ჯართან, რუსეთის პოლიტიკასთან. ამიტომ გადაარჩინა აჭარა იმ უბედურებას, რაც დანარჩენ საქართველოს დაატყდა თავს. ამას აღიარებს ბატონი ასლანის მტერიც და მოკეთეც.

დავუბრუნდეთ სექტემბრის იმ ავადმოსაგონარ დღეებს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**









# თენგიზ კიტოვანი: სეპარატისტები გალის რაიონში შემოსვლას არც აპირებდნენ

## პატიმარ თ.კიტოვანის დაკითხვის ბოლო ოქმიდან

მე დათუაშვილს შევხვდი ოჩამჩირის დაჯგუფებაში. იგი სწორ კოორდინაციას ვერ აკეთებდა და ვატყობდი, რომ ვერც კოდორზე გადავიდოდით და ვერც ოჩამჩირეს დავიცავდით. ასეც მოხდა. ყარყარაშვილმა დაახლოებით 300 კაცი წაიყვანა, რამაც ოჩამჩირის ფრონტის მიმართულება ძალიან შეასუსტა, ტექნიკა დატოვა და მხოლოდ ჯარისკაცებმა შესძლეს ზღვის ნაპირით გადასვლა.

სოხუმის დაცემის შემდეგ, ოჩამჩირის დაცვა თავისუფლად შეგვეძლო. მართალია, ჯარი ძალიან დამფრთხალი იყო და პანიკაც დაიწყო, მაგრამ გვარდიელები მზად ვიყავით არ წამოვსულიყავით. ჯარის უკან დახევისას, მათ გზა გადავუღობე და უკან დახევის მიზეზი ვკითხე. მიპასუხეს, რომ დათუაშვილის ბრძანებას ასრულებდნენ. ავედი ცაგერაში და აკია ბარბაქაძე ვნახე. ჯემალ ჭუმბურიძე წინ იყო გასული. ქობალიასაც შევხვდი ოჩამჩირის გასასვლელში და ისიც წინ კინდღის მიმართულებით შემოვაბრუნე. მთელი დღე მომიწია წინ და უკან სირბილმა. ექვსი ბიჭი მყავდა დაჭრილი. ზოგი ვერტმფრენით გავუშვი ქუთაისში. გია გულუა შემხვდა და მთელი იარაღი მე დამიტოვა. თვითონ ზუგდიდზე გადავიდა. მერე გავიგე, რომ დაუკავებიათ. შემოვტრიალდი შტაბში და ვნახე, რომ დათუაშვილი რუქას ახვევდა და გარბოდა. შევეკითხე, უკანდახევის ბრძანება ვინ გასცა-მეთქი. მიპასუხა, რომ მას ეს ბრძანება არ გაუცია. მთელი ჯარი და უკანდახეული ადამიანები ლაპარაკობენ, რომ ბრძანება შენ გაეცი-თქო. ის კი თავის საქმეს განაგრძობდა და ჩემსკენ აღარ იყურებოდა. მაშინ ავტომატი მოვუღერე და რამდენჯერმე ვისროლე, რის შემდეგაც იგი გაშეშდა ერთ ადგილას. მე რომ მცოდნოდა და დარწმუნებულიც ვყოფილიყავი, რომ უკანდახევის ბრძანება დათუაშვილმა გასცა, შეიძლება საქმე სხვანაირად დამ-



თავრებულიყო. არ ვიცი, დათუაშვილი ვისი ბრძანებით მოქმედებდა და რაც კიდევ გასარკვევია. იმ ღამესვე გვარდიელებს აჩიგვარას გზის გადაკეტვა და უკან არავის გაშვება ვუბრძანე. დილას ისევ ოჩამჩირეში წამოვედი, გზაში, ოჩამჩირეში შემავალი ბუთხუზ თოხაძე შემხვდა.

ერთი მიკვირს. მაშინ შევარდნაძეს რომ ეთქვა, არ გამოხვიდეთო, დღესაც იქ ვიქნებოდით. შევარდნაძე კი უკვე თბილისში იყო. ან ცატავასთან დაერეკა, ან როგორმე ვინმე რომ გამოეგზავნა, სამოქალაქო ომს ავიცილებდით და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ოჩამჩირიდან ვერავინ გამოგვაგდებდა და დღეს აფხაზებთან სახვეწი არაფერი გვექნებოდა. დაახლოებით ნახევარი ლტოლვილებიც აფხაზეთში იცხოვრებდნენ და სხვა პოლიტიკური სიტუაციაც იქნებოდა.

რაც შეეხება დათუაშვილს, რომელიც მერე გადმოვიდა ზუგდიდზე და მთელი იარაღისა და ტექნიკის ქობალიას რაზმებისთვის ჩაბარების შემდეგ, იძულებული გავხდი, იგი ქუთაისში დამეკავებინა, როგორც მოღალატე. მაგრამ, თქვენ მოგეხსენებათ ჩემი დაპირისპირება ბატონ ედუარდთან. მან როგორც კი დაინახა, რომ დათუაშვილი ჩემთან ვერ არის კარგად, მაშინვე აქო და ადიდა, შემდგომ სასწავლებლად მოსკოვში გაუშვა, სადაც ტერორისტული აქტი მოუწყვეს და მოკლეს. ახლა ძნელია კაცზე ლაპარაკი, რომელიც ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ისტორიისათვის მგონი ყველამ უნდა იცოდეს, რომ ღალატი სიკვდილით ისჯება ყველგან.

რაც შეეხება ცატავას როლს აფხაზეთის პოლიტიკაში. იგი ბნელი და ეშმაკი კაცია, ჰგონია, რომ სხვა სულელია. მან გალის ჩაბარებაში დიდი როლი ითამაშა. პარლამენტის სხდომაზე კიდევაც ვთქვი, რომ ცატავამ გამოგვიშვა გალიდან, თორემ აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებას არც ვაპირებდით. ეტყობა მას მოლაპარაკება ჰქონდა [illegible] ვინმე სეპარატისტ ლიდერთან. გალში ყველაზე მდიდარი მოსახლეობა იყო და გამორიცხული არ არის, რომ ცატავას აფხაზები მოელაპარაკნენ, ან ვინმე შუამავალი ეყოლებოდათ. ჩვენი გაჩერება მათ, რასაკვირველია, არ აწყობდათ. მერე დავრწმუნდი, რომ სეპარატისტები გალის რაიონში შემოსვლას არც აპირებდნენ. კიდევ ვამბობ — ეს იყო ყველაზე დიდი დანაშაული. სოხუმის ჩაბარების შემდეგ აფხაზეთში ფეხის მოკიდება თავისუფლად შეგვეძლო და დღევანდელ დღეს ბევრი გადარჩენილი იქნებოდა.

შეიძლებოდა მაშინდელ პრეზიდენტთან მოლაპარაკება და აფხაზეთი რომ არ დაგვეკარგა, ყველაფერზე შეიძლებოდა წასვლა. არა მგონია, რომ ცატავასა და ზვიად გამსახურდიას რაიმე მოლაპარაკება არ ჰქონოდათ. ეს ალბათ შევარდნაძემ იცის და ამიტომაც ცატავას ხელს აფარებს. იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი გამოძევება იყო სეპარატისტებისა და ზვიადისტების ალიანსის შედეგი, ხოლო ცატავამ კი ყველაფერი შეასრულა.

რაც შეეხება მაშინდელი სახელმწიფო მეთაურის როლს, მოდით თავიდან დავიწყოთ.

(გაგრძელება იქნება)

---

# პოლემიკა

## ოპონენტები რუბრიკისა «ვინ იყო ვინ?»

# კიტოვანის, სიგუას და გოგუაძის აღსარებები მომავლის მემატიანეს საბუთად არ გამოადგება

დღეს, ყოველი სალად მოაზროვნე და მამულიშვილური პათოსით გულანთებული ქართველისათვის ცნობილია, თუ რა საშინელი ღალატი ჩაიდინეს საკუთარი სამშობლოს წინაშე ყველა იმათ, ვინც 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მტრის მიერ მოწოდებული იარაღით მოაწყო ავანტურისტული გადატრიალება და რის შედეგადაც დაგვიმხეს ორასი წლის მანძილზე სხვათა მონობაში მყოფი, „ჩუმის ნატვრითა მნატვრელი“ ქართველი ერისაგან ძლივს მოპოვებული ეროვნული მთავრობა და მის ნაცვლად თავს მოგვახვიეს გარეშე მტერზე უფრო უარესი მანქურთული ხელისუფლება.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ავანტურისტთაგან მოყვანილმა ხელისუფალმა, ჯერ გამოიყენა ისინი თავისი გახელმწიფებისათვის, ხოლო შემდეგ, როგორც წვინტლიანი ცხვირსახოცი, ისე მოისროლა ისტორიის სანაგვეზე. ახლა ისინი, გრძნობენ რა იმას, რომ სხვათა ნების შემსრულებელ, ყოვლად უბადრუკ მარიონეტებად გამოიყენეს საკუთარი ქვეყნის სამტროდ, ამიტომ, მხოლოდ ახლა გონს მოსულები, ცდილობენ ყველაფერი ჯერ მათ მიერ გაძევებულ პრეზიდენტს გადააბრალონ, ხოლო შემდეგ, ასევე, მათ მიერ მოსკოვიდან წამოყვანილ შევარდნაძეს, ხოლო საკუთარი თავი კი უწყინარი ბატკნების როლში წარმოუდგინონ ხალხს. მაგრამ ეს არ გამოვა, ხალხი ბრძენია, ხალხს ყველაფერი ახსოვს. ამიტომ უპრიანია ვამხილოთ მათი დემაგოგიური პასუხები, რომელიც ქვეყნდება დღეს გაზეთ „საქართველოში“ ამ გაზეთის რედაქციის მიერ დასმულ კითხვებზე.

დავიწყოთ კიტოვანიდან, ვისაც იმ ავადმოსაგონარ დღეებში, ჩვენი ქვეყნის დამამხობელი სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელობისათვის, თავი იმ დროს ნაპოლეონად წარმოედგინა, ხოლო ახლა იუდას ამბორით გვმოძღვრავს ციხის საკნიდან. მე-5 კითხვაზე, ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირების მიზეზს იგი ასე გვიხსნის: „1991 წლის 19 აგვისტოს გკჩპ-ს დროს, როცა მან ქართული დივიზია დაშალა რუსების ზეწოლით, მე ზვიადს შევხვდი 29 აგვისტოს. იგი დამეთანხმა, რომ არ დაშლიდა გვარდიას (ცხადია იმ პირობით, თუ კიტოვანის გვარდია კვლავაც პრეზიდენტს დაემორჩილებოდა, რაზედაც კიტოვანი არაფერს ამბობს). „მაგრამო, განაგრძობს იგი შემდეგ — რკონში არ ვიყავი ჩასული, რომ ტელევიზიით (ალბათ მანქანაში ედგა ტელევიზორი) ზვიადი მოუხმობდა მშობლებს, თქვენი შვილები წამოიყვანეთ რკონიდანო. ამ დროს, რესტორანში წყდებოდა 12-ათასი ბავშვის სიცოცხლე. გენერალი შურავლიოვი, ომანიძესთან და ხაბულიანთან ერთად, პატრიკეევიც იქ იყო, სხვათაშორის, აწყობდნენ გეგმას, როგორ განვეიარაღებინეთ მე და გვარდია, რამაც საბოლოო განხეთქილება გამოიწვია ჩემსა და გამსახურდიას შორის“.

ჯერ ერთი, ბატონ თ.კიტოვანს ავიწყდება, თუ რა რთულ სიტუაციაში მოექცა იმ დროს პრეზიდენტი. კაცმა არ იცოდა მაშინ, ეგრეთწოდებული გკჩპ დარჩებოდა თუ არა ხელისუფლებაში. ვთქვათ და დარჩენილიყო და იმ ხელისუფლებას თავისი სამხედრო ძალებით გაენადგურებინა ქართული ეროვნული გვარდია! მაშინ ვინ აგებდა პასუხს ამ ტრაგედიაზე? ნუთუ არ უნდა ესმოდეს ბ-ნ კიტოვანს, რომ პრეზიდენტის მიერ გვარდიისათვის შინაგანი ჯარების სტატუსის მინიჭება, ეს იყო ერთადერთი დამცავი ღონისძიება? ახლა ვნახოთ, თუ რას აპირებდა კიტოვანი გვარდიის თავის უფლებებში დატოვებით. ამას შესანიშნავად გვიხსნის იმ მომენტში კიტოვანთან მყოფი პოლკოვნიკი დავით ხომასურიძე გაზეთ „საქართველოს“ (№20) კორესპონდენტთან საუბარში. იგი ამბობს: „ის პუტჩისტები (ე.ი. გკჩპ-ს რუსული არმია) რომ შემოგვსეოდნენ, ჩვენ მზად ვიყავით დავხვედროდით და თავი შეგვეწირაო“. მერედა ეს იქნებოდა კარგი? ნუთუ ჰგონია ბატონ კიტოვანს, რომ ქართველი ხალხი ველარ გაერკვევა, მოპასუხე ზ.გამსახურდიას არარსებობის გამო, თუ ამ პარალელიზმში ვინ უფრო სწორია — ზვიადი, რომელიც ქართულ გვარდიაში მყოფი ბიჭების გადარჩენისათვის იბრძოდა, თუ კიტოვანი, რომელიც ცრუპატრიოტული ლოზუნგით ამ ბიჭებს რუსის იმპერიალისტებთან ყოვლად უპერსპექტივო ბრძოლაში სასიკვდილოდ იმეტებდა? ჰოდა ზვიადი იმიტომ მოუწოდებდა გვარდიელთა მშობლებს, რომ წამოეყვანათ თავიანთი შვილები რკონიდან, რომ ერთის მხრივ აეცილებინა მათთვის რუსის ჯართან ეს უპერსპექტივო შეტაკება და, მეორეც (რასაც მალავს კიტოვანი), აეცილებინა მათთვის აგრეთვე სამოქალაქო ომში ჩაბმა, რაც კიტოვანმა რკონში ჩასვლის შემდეგ პრეზიდენტისადმი დაუმორჩილებლობით გამოავლინა. არადა, ისმის კითხვა: თუ კიტოვანი ზ.გამსახურდიას იმიტომ დაუპირისპირდა, რომ იგი გვარდიას შლიდა იმ კრიზისულ მომენტში, ხოლო კიტოვანი ყოვლად დაუსაბუთებლად ამისი წინააღმდეგი იყო, როცა გკჩპ-ს საშიშროებამ გაიარა და ზვიად გამსახურდიამ ტელევიზიით განაცხადა — გვარდიის აღდგენის ბრძანებას ვიძლევი და ამის გამო ნულა დავპირისპირდებითო, რატომღა დარჩა კიტოვანი თავისი გვარდიით პრეზიდენტთან საბრძოლო განწყობილებაში, თუ იგი სიგუასთან ერთად უკვე შეკრული არ იყო რუსეთის აგრესიულ ძალებთან (უშუალოდ ბეპაევთან), ვისგანაც ორივენი დიდ პატივს ელოდნენ? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ზუსტად ასე იყო, რადგან, უფრო გვიან თბილისის ზღვაზე დაბანაკებულმა კიტოვანმაც და სიგუამაც, მტრის იარაღით ძალმოსილებმა, კვლავ უარი განუცხადეს შერიგებაზე პრეზიდენტის მიერ წარგზავნილ ვალტერ შურღაიას. ისინი ერთადერთ პირობად პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვდნენ; არც მეტი და არც ნაკლები. განა მარტო ამ ფაქტით არ დასტურდება მათი გამყიდველური საქციელი?

კიტოვანი არაა გულწრფელი მე-6 კითხვის პასუხშიც — იჯდა თუ არა ამ სცენარში (ე.ი. სამხედრო გადატრიალებაში) თქვენი კონტაქტები ბეპაევთანო — იგი გვერდს უვლის პირდაპირ პასუხს და ამის ნაცვლად იძლევა რაღაც აბსურდულ განმარტებას: „ბეპაევი აქ ებრძოდა რუსებს (საოცარია!), მაგისი (ე.ი. ბეპაევის) და ჩემი წყალობით საქართველოში 12-ათასამდე ჩამოვიყვანეთ რუსეთის კონტიგენტი და დღესაც იგი (ბეპაევი) ჩვენს გვერდში დგას, როგორც ბალყარელი და კავკასიელიო“. მოდი და გაიგე მკითხველო რამე მისი ამ აბდაუბდა პასუხიდან. ჯერ ერთი, არ გვიხსნის იგი, თუ რაში გამოიხატებოდა აქ ჩამოსული ბეპაევის ბრძოლა რუსებთან. მეორეც, არ სჩანს, (ან მალავს), თუ რა როლი შეასრულეს ბეპაევისა და კიტოვანის მიერ ჩამოყვანილმა 12-ათასამდე რუსეთის კონტიგენტმა. ამიტომ ჩვენ თავადვე უნდა დავაკავშიროთ კიტოვანის ორი ფრაზა: — ს.ბეპაევის „ჩვენს მხარეზე დგომა“ და მე-2 „მაგისა და ჩემს მიერ 12-ათასი რუსული კონტიგენტის ჩამოყვანა“, და მივიღებთ ასეთ დასკვნას: როცა პრეზიდენტის დამცველმა ძალებმა დაამარცხეს კიტოვანის ბანდები და ისინი სასტუმრო „ივერიამდე“ დაირეკეს, აი მაშინ, კიტოვანმა და მის გვერდში მდგომმა ბეპაევმა ბრძოლაში ჩართეს სწორედ ის ძალები, რომელიც მათ ურთიერთთანადგომით რუსეთიდან ჩამოიყვანეს, კიტოვანი კი — ჰოი, სიბრიყვევ გაუგონარო — სამშობლოს წინაშე ამ გამყიდველობას, პატრიოტობაში უთვლის თავს და ბეპაევსაც წილს უდებს „საქართველოს სიყვარულში“. ეს საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდებაა!

მტრის მიერ გაბრიყვებული ბატონი კიტოვანი იმასაც ჩქმალავს, თუ სად და რა ვითარებაში გააცნეს მას ბეპაევი და მგონი თვითონაც არ იცის, ვინ მოამზადა ეს სცენარი. ჯერ მათი ურთიერთდამეგობრების ირგვლივ აი რა (არაოფიციალური) ცნობები არსებობს: მოსკოვში, მხატვარ წერეთლის სახელოსნოში მყოფ კიტოვანს ახვედრებენ (ვითომ შემთხვევით) გრაჩოვს, შემდეგ იგი აქვე გამოიძახებს ბეპაევს, აცნობს მას კიტოვანს და უბრძანებს — ამ კაცმა რაც გთხოვოს, ყველაფერში დაეხმარეო. აი აქედან ჩაეყარა საფუძველი რუსულ იმპერიალისტურ ძალებსა და მათ მიერ გაბრიყვებულ ქართველ ოპოზიციონერებს შორის საქართველოს დამანგრეველ ოპერაციებს. ოღონდ, არ უნდა გამოგვრჩეს, რომ რუსულ-ქართულ ამ ბნელ კავშირს არეგულირებდა იმ დროს მოსკოვში კარიერის მიღმა დარჩენილი ქართველი კონდოტიერი, რასაც აგრეთვე ჩქმალავენ კიტოვანიც და სიგუაც.

უსინდისოდ ტყუიან კიტოვანიც და სიგუაც, როცა ისინი ქართველ საზოგადოებრიობას ისე წარმოუდგენენ საქმეს, თითქოს მათ მიერ დამხობილი პრეზიდენტის მიმართ თავადვე გამოეჩინოთ რაინდული დამოკიდებულება და ორთაჭალის გზით მის „უსაფრთხო“ გადასვლას სომხეთში მათივე შეუწყვიათ ხელი, ხოლო შემდეგ სომხეთის მთავრობის შეკითხვაზე — დავტოვოთ, თუ არა იგი სომხეთშიო — თანხმობით ეპასუხოთ. ეს სიცრუეა. მათ ტყუილა ჰგონიათ, რომ ქართველი ხალხი ყრუ და ბრმაა. ხალხს ყველაფერი ახსოვს დეტალურად, ყველაფერი აღნუსხულია და დადგება დღე, როცა სიგუასაც, კიტოვანსაც და სხვებსაც საკუთარი სამშობლოს წინაშე ჩადენილი დანაშაულის ამ ნუსხას თვალებზე აფარებენ. ფაქტიურად კი აი როგორი იყო საქმის რეალური ვითარება.

(გაგრძელება იქნება.)

მიხეილ მჭედლიშვილი
ისტორიკოსი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები ციხიდან

# ირაკლი სურგულაძე: შეაყარე კედელს ცერცვი

დასასრული დასაწ. იხ. „საქართველო“ № 26, 27,28

**გამოძიების** ობიექტურობა ერთობ სუბიექტური რამ გახლავთ. იგი დამოკიდებულია ისეთ უმნიშვნელო მოვლენაზე, როგორიცაა დაკვეთა. თუ დაკვეთა საერთოდ არ ესადაგება კანონის სამყაროს, მაშინ გამოძიება „სპეციფიკურ“ სახეს იღებს, დაახლოებით ისეთს, როგორიცაა „ფრონტის“ საქმეების გამოძიება. მე ბრალად მედება „უკანონო შეიარაღებული ფორმირების“ შექმნა, თანაც „პირადი მიზნით“. სხვა იქ არაფერი წერია. ამის შემდეგ ლაპარაკია ვიღაც პირებზე, რომელთაც ჩაიდინეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა დანაშაული, ეცვათ სამხედრო ფორმა, იტაცებდნენ შამპუნს, სიგარეტს, არაყს არის ძარცვის უფრო ბოროტი მაგალითები, ყოფილა გაუპატიურების შემთხვევაც, მაგრამ მე ამ ხალხთან რა საქმე მქონდა, გაუგებარი რჩება. ასევე გაუგებარია, რატომ არიან ისინი ნახსენები ჩემთან დაკავშირებით. გამოძიებიდან არ ჩანს, თუ რა არის უკანონო შეიარაღებული ფორმირება, რა უნდა გააკეთო კაცმა მის შესაქმნელად და აქედან რა მაქვს გაკეთებული მე. მე იმედი მაქვს, რომ სასამართლო პროცესზე გავიგებ ჩემს პირად ბრალს, რისთვისაც პასუხი უნდა ვაგო. აი, მაშინ უფრო დეტალურ პასუხს გაგცემთ.

წინა შეკითხვებზე მე შედარებით ჩამოყალიბებულად მოგახსენეთ ჩემი აზრი თ.სიგუას საქმიანობის შესახებ, რამდენადაც მთელი 1992 წლის მანძილზე მე მასთან საქმით ვიყავი დაკავშირებული. თ.კიტოვანის საქმიანობის შესახებ, გამომდინარე მისი პროფილიდან, უფრო ნაკლები ვიცი, მაგრამ დოკუმენტურად დადასტურებულია, თუ რა წარმატებებს მიაღწია მან რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან მუშაობაში. იგი ენერგიული და მასშტაბური კაცია. რაც შეეხება „ფრონტში“ მის მუშაობას, პერიოდი ისე ხანმოკლე გამოდგა, რომ მასზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ უდიდესი ყურადღება მიიქცია საქართველოს, რუსეთისა და აფხაზი თვითმარქვიებისა. ცხადია, იგი ბევრს შეძლებდა აფხაზეთის საკითხში, თუ სათანადო მხარდაჭერა ექნებოდა. იგი ნამდვილი პატრიოტია და მიუხედავად საგანგებო პროპაგანდისა, სათანადო ავტორიტეტიც აქვს. მარტო ის რად ღირს, რომ საბრალდებულო დასკვნაში იმდენი ხნის გულმოდგინე ჩხრეკის შემდეგ, ზემოხსენებული ბრალდებისა და იარაღის გარდა, ვერაფერი ჩაწერეს. არ დამტკიცდა მის მიერ თვითმფრინავების გაყიდვა და სხვა მსხვილმასშტაბიანი მაქინაციები, თანაც ისეთ პირობებში, როცა მას არავინ დაზოგავს და ხელს არ დააფარებს. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენმა დაპატიმრებამ, ძიებამ და მომავალმა სასამართლომ თენგიზს სერიოზული სამსახური გაუწია, რადგან საბოლოოდ გაიფანტა მითოსი „მაფიოზური მაგნატის“ შესახებ. თ.კიტოვანი მტკიცე ხასიათის კაცია და ღირსეულად იტანს ყველაფერს, რაც მას ბედმა არგუნა. რა თქმა უნდა, იგი თავისი პოლიტიკური იერით, რევოლუციური, სახალხო ტიპია, რომლის სათანადო შეფასებას ასევე სათანადო შესწავლა ჭირდება, მაგრამ ამის საშუალება ჯერჯერობით არ არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თ.კიტოვანმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ არმიას, შექმნა მთელი მოძრაობა არმიის მხარდასაჭერად, რის გამოც სხვა ქვეყნებში ხალხს გმირად აცხადებენ. აქაც, სათანადო მხარდაჭერით და სწორი პოლიტიკური გეგმით, ეკონომიურად იმ შეზღუდულ ფარგლებშიც, კიტოვანი გაცილებით მეტს მიაღწევდა. მე ძალიან მიკვირს იმ ბოლო ხანს პრესაში მისი ყოფილი ახლობლებისა თუ თანამებრძოლების მიერ გამოთქმული პრეტენზიები. ზოგს თენგიზის ერუდიცია არ მოსწონს, ზოგი მჭერმეტყველობას უწუნებს და ა.შ., მაგრამ არავის არაფერი უთქვამს იმ აუცილებელ ავტორიტეტსა და პოლიტიკურ მასშტაბზე, რასაც კიტოვანმა მიაღწია. საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, მიუხედავად განსწავლულობისა, რომელი შეედრება კიტოვანს? კიტოვანი ისეთი სპეციფიკური პოლიტიკური სიტუაციის ისტორიული პროდუქტია, რომ იქ დალამბერითა და მონტესკიეთი ვერაფერს გახდები. ეს იმათი საქმე უფრო იყო, ვინც მას უნდა დახმარებოდა ნამდვილი ჯარის შექმნაში. კიტოვანის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი „დაჭერა უზარბაზნოდ არ იქნებოდა“, თვით შევარდნაძემაც აღიარა და გიორგაძის „გმირები“ ჩაუსაფრა სახლში წამოსულ კაცს. თანაც რამდენიმე თვით მიახმარა ტელევიზია და პრესა. ნეტა სად იყვნენ ის „გმირები“, როცა აფხაზეთს ვტოვებდით?



სამხედრო საბჭო საკმაოდ ხანმოკლე მოვლენა იყო და საბოლოოდ ჩემში მხოლოდ ხელისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყისის ასოციაციას იწვევს. იქ აშკარად გამოიკვეთა შევარდნაძე-იოსელიანისა და სიგუა-კიტოვანის დაპირისპირება. ვერ ვიტყვი, რომ ბრძოლა თანაბარი შეიარაღებითა და ტექნიკით მიმდინარეობდა. სიგუა-კიტოვანი თითქოს არც იბრძოდნენ, ისინი, უბრალოდ „არ უყვარდათ“. ცხადია, მათ არ ჰქონდათ შევარდნაძის სახელისუფლო პერსპექტივებთან დაპირისპირების სურვილი. ისინი უფრო ინტენსიურ და თანაბარუფლებიან პარტნიორობას მოელოდნენ, რაშიც მწარედ მოტყუვდნენ. განსაკუთრებული როლი შეასრულა ჯაბა იოსელიანმა თავისი „მხედრიონით“. რა საბოლოო შედეგს მოელოდა ჯ.იოსელიანი ე.შევარდნაძესთან კავშირით, ეს ჩემთვის გაუგებარია და ვერც ვერასოდეს მივხვდები. ჩემთვის გასაგებია, რომ ალიანსი შეიძლებოდა შემდგარიყო და შედგა, მაგრამ რა პირობებით? როგორ ეგონა ჯ. იოსელიანს, ალიანსი „იმ პირობებით“ შევარდნაძესთან ხანგრძლივად შეიძლება გაგრძელებულიყო? თავიდანვე რას დაემყარა ეს კავშირი? მოკლედ, აქ ისეთი დასკვნები იწევა წინა პლანზე, რომელთა წარმოშობა ორი სრულფასოვანი მხარის არსებობის პირობებში შეუძლებელია. ამ ეტაპზე, ასე იყო თუ ისე, ე.შევარდნაძემ მიაღწია მიზანს და მიიღო პარლამენტის, თავისათვის მისაღები, ოპტიმალური ვარიანტი, როგორც ეტაპი, გასავლელი დღევანდელ პარლამენტზე გადასასვლელად, რომელმაც უნისონით დაიწყო. მაგრამ ასე დიდხანს გაგრძელდება? ამ ხნის მანძილზე მე ციხეში ვარ, ბევრი რამ გამომრჩა, ვერ ვხედავ, ამდენად ჩემს აზრს დიდი ფასი შეიძლება არც ჰქონდეს. ერთი რამ კი ვიცი: იმათ, ვისაც ძალზე კმაყოფილი სახეები აქვთ, შეიძლება მალე ფიზიონომია შეეცვალოთ. დღევანდელი პარლამენტი უფრო ორგანიზებულია და კენჭისყრაზე ნაკლებ დროს კარგავს, თუ ეს უპირატესობაა. სხვაფრივ დანაკარგები ღრმავდება, მტკიცდება, კანონდება. ასეთ პირობებში ძნელი სათქმელია, ვინ ვის და რას შეუყვება, მით უფრო დამწყვდეული კაცისაგან.

კაცმა რომ თქვას, მე არც ისე ცნობილი ვარ, რომ ამის გამო ვიყო საშიში. ალბათ ვიღაცას ეშინია, რომ კარს უკან არ დავემალო და „ბე“ არ შევაყვირო. ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი, ე.ი. „ფრონტის“ საქმე თავიდან ი.გიორგაძეს მიყავდა, პროკურატურა მის ხაზს მიყვებოდა, რაც სავსებით ეგუებოდა ე.შევარდნაძის დამოკიდებულებას თ.კიტოვანთან. შემდეგ, მოგეხსენებათ, გიორგაძის მიმართ აზრი შევიცვალეთ, მაგრამ მისი „აზრი“ ჩვენს მიმართ არ შეიცვალა. ამასობაში პროკურატურამ „შეტოპა“ და კიდევაც რომ უნდოდეს, ვერ გაგვამართლებს, მაშინ თავისი თავი უნდა დაისაჯოს. კანონი რომ მოქმედებდეს, მაშინ არავინ დაშავდებოდა. უკანონო ქვეყანა ქაოსია და იქ რაიმე პროგნოზი შეუძლებელია. როცა სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალნი აცხადებენ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად გვიხდება კანონის დარღვევაო, სხვა რაღას იზამს. მე მწამს, რომ კანონი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე არ ირღვევა. სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან დეკრეტით შეაჩეროს ამა თუ იმ კანონის მოქმედება. კანონი მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ირღვევა და რაც უფრო ძლიერია და თვალსაჩინო, ხელისუფლების მით უფრო მაღალ ეშელონებთან არის დაკავშირებული ეს „პატრიოტული“ დარღვევა. ასე რომ, ნაკომუნისტარზე დემოკრატობა ნაქელეხარზე ფეხბურთის თამაშს გავს. კარგად ვერ ითამაშებ. მე არავითარ საშიშროებას არ წარმოვადგენ დემოკრატიის პირობებში, მაგრამ ლენინელების ქელეხზე შეიძლება „ჩარირამა“ წამოვიწყო.

ამ სისტემაში ადვილად არაფერი კეთდება. თავისთავზე არავინ იღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მხოლოდ მას ევალება. ეს საბჭოთა **„как бы чего не вышла“**-ს ვარიანტია, რაშიც სისტემაა დამნაშავე (უმეტესად) და არა სუსტი ადამიანები, ე.ი. ჩვენ, რომელთაც ამდენი ხანია გვივითარდებოდა უკონტროლო შიშის გრძნობა. მაგრამ ახლა ყველაფერი, როგორც მითხრეს, გადაწყდა და შაბათიდან, 22 ივნისიდან, შსს რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადამიყვანენ.

მე არ მიმიტოვებია არც ერთი ჩემი მეგობარი. უბედურება ისაა, რომ ამ წელიწადნახევარში ბევრი წავიდა ამ ქვეყნიდან. მეგობრები მხარს იმდენად მიჭერენ, რამდენადაც ამის საშუალება აქვთ, რაც დამოკიდებულია არა ერთ და ორ ფაქტორზე. ზოგი სწორედ არ თვლის ჩემს მონაწილეობას ამ საქმეში, ზოგი ცუდად იყო თავიდან ინფორმირებული და ა.შ. მაგრამ ეს, როგორც არა ერთხელ დავრწმუნდი, ჩვენს პირად ურთიერთობებს არ შეხებია. მე მათ მიმართ ერთადერთი პრეტენზია მექნებოდა: არა აქვს მნიშვნელობა იმ ბანალურ ფაქტს, რომ ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს არ დაემთხვა. მათ ყველამ ერთად ნახეს, რომ დაირღვა ჩემი, როგორც პიროვნების უფლებები და ეს უფლებები ზოგიერთს ჩემი ჰგონია (თუ არის ვინმე ასეთი). მე ყველა დამეხმარა, ჩემი დაცვის საზოგადოებაც კი შექმნეს, ვის არ მიმართეს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი! ჩემი მეგობრები, რაც მთავარია, მე არ მიმიტოვებია და გულში ყველასთვის მაქვს თავისი წილი მადლობა.

აბა, შეცდომებს რა მოთვლის. მე მგონია პირველი შეცდომა ისაა, რომ საერთოდ იბადები ამ ქვეყანაზე. შეცდომებზე შეუძლია ილაპარაკოს იმან, ვისაც რაღაც კონკრეტული, მისაღწევი სოციალური მიზანი აქვს. მე ასეთი მიზანი არ მაქვს და ამიტომ ჩემი შეცდომები მხოლოდ ჩემთვისაა მავნე, ყოფითი ხასიათისაა. შეცდომა ყოველდღიურობაა. მხოლოდ მათი ანალიზი, ოქროს შემცველი ქვიშის მრეცხავისა არ იყოს, იძლევა უმცირეს პოზიტიურ, უშეცდომო წამებს, რომელსაც ჰქვია „გულწრფელობა“, „სიკეთე“, „სილამაზე“, „სიბრძნე“, და ა.შ. ასეთი ბედნიერება კი ცოტას აქვს. ჩვეულებრივ ყოფაში შეცდომაა მაგ. როცა ვინმეს მოტყუებას დაპირებ, რადგან ჰქვიანს ვერ მოატყუებ, ხოლო ბრიყვს მოტყუებას, თუ ხუთი მილიონი არ არის, რა აზრი აქვს, ან რა საკადრისია.

ასე რომ, შეცდომას, თავის ბუნების გამო, ვერ გავექცევით და ამიტომ ასე ზოგადად მოგახსენეთ, ბევრი დამიშვია და ბევრსაც დავუშვებ.

დღევანდელი ჩემი გადასახედი იზოლატორის მე-5 კორპუსია. მე სწორ მოქმედებას ვერ დავიჩემებ, რადგან სწორად შეფასების შემთხვევაში, შესაძლოა სხვა გადასახედი მქონოდა. რაც შეეხება სინანულს, ჯერ დასანანი არაფერი ჩამიდენია. მე ქართული სახელმწიფოს საქმეს ვემსახურებოდი. მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს, ყველას ვერ გაახარებ. დასანანი ნამდვილად არაფერი მაქვს.

# დოდო გუგეშაშვილი: მე ძალიან ბევრი რამ მაქვს სათქმელი ჩემი ხალხისთვის

**საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ „მხედრიონელთა“ საქმის გამოძიება დამთავრდა. უახლოეს პერიოდში კი სასამართლო პროცესები დაიწყება, რომლებიც მრავალი ასპექტით იქნებიან საინტერესონი. ამჟამად კი დოდო გუგეშაშვილმა, გამოძიების ტენდენციურად წარმართვის გამო, საქმის გაცნობაზე პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა.**

**ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ციხიდან მის მიერ გამოგზავნილ წერილს. ვაფიქსირებთ ფაქტს. ჩვენი პოზიცია კი „მხედრიონის“ საქმისადმი ზოგადად ცნობილია.**

ჩემი უკანონოდ დაპატიმრების მომენტიდან პროტესტის ნიშნად, ჯერ მშრალ, ხოლო ჯანმრთელობის გაუარესების შემდეგ, ჩვეულებრივ შიმშილობაზე გადავედი, რაც ოთხთვენახევარი გაგრძელდა.

შიმშილობის დროს გამოძიების წინაშე ვაყენებდი საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შუამდგომლობებს და მჯეროდა, რომ საგამოძიებო ორგანოები მოწოდებულნი იყვნენ სიმართლის დასადგენად.

მწარედ შევცდი, უპასუხოდ და უშედეგოდ იქნა დატოვებული ჩემი კანონიერი მოთხოვნა, დაედგინათ: რა უფლება ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელ ვინმე გ.ქობულაშვილს ჩემი წინასწარი პატიმრობაში ყოფნისას, ღამის 3 საათზე, ჩემი, მოტყუებით გამოძალული გასაღების გამოყენებით, ჩემს გარეშე გაეჩხრიკა ბინა და ბინძური ხრიკებით, ხელოვნურად შეექმნათ ბრალდების მასალები „ჩემი ნარკომანობის“ საკითხში. ჩხრეკისას დამეკარგა ძვირფასეულობა. საყურადღებოა, რომ მე გამომძიებელ თ.მექვაბიშვილს ვერიცხებოდი, რომელსაც ჩხრეკის შესახებ არ შეუთანხმდნენ.

ასევე უპასუხოდაა დატოვებული ჩემი განცხადება პატიმრობისას ჩემი ბინის გაქურდვისა და პირადი ნივთების გატანის შესახებ. თურმე, ფორმალურად, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და პრობლემაც ამით ამოწურეს. მე კი ისევ გაქურდული და განადგურებული ვარ.

უყურადღებოდაა მიტოვებული ქალაქის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში ჩხრეკისას ჩამორთმეული და შემდგომ რომელიმე თანამდებობის პირის მიერ მითვისებული მარგალიტის მძივების, საყურეების, ბეჭდებისა და სხვა საკითხები.

არ დააკმაყოფილეს პარლამენტის შენობიდან ამოღებული იარაღისა და ნარკოტიკების საკითხში ჩემგან ჩვენების მიღებისა და დაპირისპირებების ჩემი კანონიერი მოთხოვნები. ეს კი აუცილებელი იყო, რათა გარკვეულიყო ჯაბა იოსელიანზე ბრალად შერაცხული ამოღებული ნივთების საკუთრება, მათი წარმოშობის წყარო, მიზეზი, რამაც განაპირობა მათი შენახვა შენობაში.

მე მაბრალებენ ჯაბა იოსელიანთან და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებთან ერთად ბანდის მეთაურობას. კატეგორიულად მოვითხოვდი ე.წ. ბანდის გეგმის წარმოდგენას, მეთაურ-ხელმძღვანელებთან შეხვედრა-დაპირისპირებას. ჩემგან, როგორც „ბანდის მეთაურისაგან“, ნაბანდიტარი ნივთების ამოღებას და ე.წ. დაზარალებულებისათვის ამოსაცნობად წარდგენას, რასაც ვერ მივაღწიე.

კატეგორიულად მოვითხოვ ჩემი და ჯაბა იოსელიანის საქმეთა გაერთიანებას, რადგან ტენდენციური გამოძიებით ორივე სამშობლოს მოღალატენი ვართ, ორივეს შეგვიქმნია დასავლეთ საქართველოს დასარბევად ბანდები, ერთად ვიძლეოდით თურმე დავალებებს და ერთადვე ვიყოფდით ნადავლს.

მოვითხოვ, შეწყვიტოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩემი პიროვნების დისკრედიტაცია და ხელი აიღოთ საზოგადოების შეცდომაში შეყვანისაგან. არ დაკმაყოფილდა ჩემი მოთხოვნა დარჩელის ეპიზოდში დაზარალებულებთან დაპირისპირებათა ჩატარება.

ჩემთვის სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ გამოძიებამ ჩემს მიმართ ბრალდების მასალები შეთითხნა №5 იზოლატორად წოდებულ, ფაქტიურად კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სასაკლაო ჯურღმულში ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ძალის გამოყენებით აფხაზეთის ომის გმირებისგან.

ასეთ ვითარებაში კი საქმის მასალების წაკითხვას არავითარი აზრი არა აქვს. გენერალური პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნა დამტკიცებულია და ჩემს მოსალოდნელ შუამდგომლობებზე სატელეფონო და საკაბინეტო სამართლის ძალით, უკვე წინასწარვეა გამზადებული უარი.

ვიმედოვნებ პროცესის საჯაროობაზე, რა დროსაც მოწვეულ იქნებიან სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალისტები. მაშინ ბევრ სიბინძურეს აეხდება ფარდა, თუ ხელოვნურად არ მომაკვდინეს. მე ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი ჩემი ხალხისთვის.

# აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

ბიბლიოთეკა

## შესავალი ანუ როგორ წავიკითხოთ გალაკტიონი

ჩვეულებისამებრ, როდესაც ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების კვლევას ვიწყებთ, ვალდებულნი ვართ, გავეცნოთ და, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოვიყენოთ კიდეც ის წერილები, გამოკვლევები და მონოგრაფიები, რომელნიც საკვლევი მასალის ირგვლივ ჩვენამდე შექმნილა, მაგრამ ჭეშმარიტ პოეზიაზე წერისას ეს მხოლოდ „შავი სამუშაოს" შესრულებას ნიშნავს. ამ აზრს განსაკუთრებით გავუსვამდი ხაზს გალაკტიონის სამყაროს კვლევისას. არა იმიტომ, რომ გალაკტიონის უმშვენიერეს ლექსებზე ღირებული არაფერი დაწერილა, ბევრი რამ გამოქვეყნებულა ცუდიც და კარგიც, ტრაფარეტულიც და პოეტის შემოქმედების ღირსიც. (ამ უკანასკნელ ფრაზაში, ცხადია, არის გადაჭარბება. გალაკტიონის პოეზიის შესაფერი წერილი, ესეი, გამოკვლევა თუ მონოგრაფია, ძნელი წარმოსადგენია..)

და მაინც, ის ღვთაებრივი პოეზია რომ სრულყოფილად იგრძნოთ, რაც ლექსის ამ დიდმა ჯადოქარმა შექმნა, ვერავინ „გიშველით", თუ თავად თქვენში ვერ მოიძიებთ იმ გრძნობებსა და განცდებს, იმ ტკივილებს, იმ უჩვეულო განწყობას, რაც პოეტს სულს უფორიაქებდა.

ვინც სიყვარულის ცეცხლზე არ დანავლებულა და ძილგამფრთხალს ღამის სიშავე, წვიმის ცრემლები და მარტოობის განცდა მძიმე ლოდივით არ დასწოლია, ვერასოდეს იგრძნობს და ვერცერთი მკვლევარი ვერ განაცდევინებს ამ სტრიქონების მაგიურ ძალას:

**„ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი**
**თითქო შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,**
**აღარ გათენდება ღამე საზიზღარი,**
**რომელი საათია, რომელი საათია?"**

ვინც სრული უმწეობის გრძნობას არასოდეს შეუპყრია, ვისთვისაც უცხოა აპათია და საშინელი განწყობით შობილი უსასოობა, ამ ნიადაგზე „ფარ-ხმალის" დაყრა და ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულების თუნდაც ხანიერი მდგომარეობა, მას ვერცერთი ნაფიცი კრიტიკოსი ვერ აუხსნის, თუ რატომ არის დიდებული ასე უბრალოდ ნათქვამი ლექსი, ლექსი, რომელშიც „დაჭერილია" განცდა იმისა, როგორ შეიძლება მოჰგვაროს თავისმკვლელს უკანასკნელი გადაწყვეტილების უეცარმა მიღებამ გამაოგნებელი და დამთრგუნველი სიმშვიდე:

**„ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,**
**მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი;**
**მისთვის იმ წამში არ იყო ღმერთი,**
**მისთვის არ იყო ქრისტე და ჯვარი.**
**თითქმის არ გრძნობდა სახლებს და კედლებს,**
**ძალით დაბურულს არ გრძნობდა მხარეს.**
**ეტლები ცვლიდნენ მიმავალ ეტლებს,**
**როგორც სიზმარში მხარე ცვლის მხარეს.**
**როგორ, საიდან... რა იცის თვითონ.**
**ის უცნობ ხიდზე დგას, სხვაა ხიდი.**
**მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,**
**ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი".**



ან ამ ლექსს როგორ აგვიხსნის ვინმე, თუ არ შევიგრძენით მთელი ტრაგიზმი ჩვენი ყოფისა, როცა იძულებით გვაძინებს მოსისხლე „გადია", სულ ერთია პირად მტერს ვიგულისხმებთ „გადიაში" თუ სამშობლოსას. და ჩვენც იძულებულნი ვართ, მძინარედ მოვაჩვენოთ მას თავი, იმ ბავშვივით, რომელსაც გალახვა არ ასცდება, თუ ძილის რეჟიმი დაარღვია, უფროსის ბრძანებაზე თვალები თუ მოჩვენებით მაინც არ დახუჭა... მაგრამ მათრახის შიშით თვალმინაბულში, მაინც მღვიძარებს ღირსების გრძნობა, კიაფობს იმედი ოდესმე სამაგიეროს მიგებისა, რაც ასატანს ხდის სულის დათრგუნულ ყოფას...

**„მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,**
**დაე, მძინავდეს.**
**ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,**
**როდესაც ნანა გესმის ძიძების —**
**ბევრს ეშინოდეს**
**ჩემი სასტიკი და ულმობელი გამოღვიძების..."**

თავის დროზე რომ არ დაეწერა ტიციან ტაბიძეს, იქნებ, ამის თქმა, მეტისმეტი ლირიზმის გამო, მომრიდებოდა კიდეც — გალაკტიონის ლექსთა კითხვისას შეიძლება ბალიში დაინამოსო ცრემლით. მაგრამ თვალის ბადურა არ აუწყლიანდება იმას, ვისაც არასოდეს უგრძვნია ან უფიქრია, რა საშინელებაა, რა გაუსაძლისია უმზერო იმ ბინის გამოცარიელებულ კედლებს, სადაც ერთ დროს შენთვის საყვარელი ადამიანის სუნთქვა გესმოდა, სადაც მისი სიცილი იფრქვეოდა.

მეუღლის დაპატიმრების შემდეგ ასეთ ტანჯვასა და მარტოობაში ჩამხრჩვალ პოეტს აღმოხდა:

**„სარკმელი სალამომ**
**და ფარდამ დაბურა,**
**სანთელი მბჟუტავი**
**მთლად გაუდაბურდა,**
**მას შემდეგ, რაც შენი**
**სახება ბინდბუნდზე**
**სახლიდან გავიდა**
**და აღარ დაბრუნდა"**

სახლის გამოცარიელებულ კედლებში კი მგოსნის სხეული დარჩენილა მხოლოდ, სული კი, სხეულის მოძრაობაში მომყვანი და სიცოცხლის მიმნიჭებელი, აბარგებულა, სხეულთან ყოფნა აღარ უსურვებია, ადამიანის დატანჯული ყოფის ამაზე უფრო მკაფიოდ გადმოცემა სიტყვებით განა შეიძლება?

**„თვით ჩემი სიცოცხლეც**
**იმ გზებით წავიდა,**
**სახლიდან გავიდა**
**და აღარ დაბრუნდა".**

ერთი სიტყვით, არ დარჩენილა ადამიანურ გრძნობათა გამმაში არაფერი, გალაკტიონის, ამ სულის დიდი მესაიდუმლის მიერ ატეხილ გრიგალში თავის ექოს რომ არ გამოსცემდეს. მოკვდავნი კი ამ ხმებში ვგრძნობთ ჩვენსავე ადამიანურ ვნებებს, უკვდავ ენაზე გარდათქმულს.

ამიტომაც, ვამბობ, რომ ჭეშმარიტ პოეზიასთან მიახლოებას „შუამავალი" ნაკლებად შველის, შუამავალი ჩვენივე სულიერი სიმდიდრე შეიძლება იყოს.

როგორც არ არსებობს გრძნობათა ზღვარის დამდგენი ბარომეტრი, ასევე არ არსებობს ის ლიტერატურული სკოლა, მიმართულება, რომლის თეორიულ არტახებშიც დიდი პოეზიის მოქცევა შეიძლება.

ზღვას მხოლოდ ცალკეულ ადგილებთან შეიძლება ჯებირი აღვუმართოთ, მთლიანი რკალი კი მისი ტალღების ღელვა-ტორტმანს ვერ შეაკავებს.

გალაკტიონის პოეზიაც იმ ზღვას ჰგავს, რომლის მოქცევაც ცალკეულ თეორიულ არტახებში — რომანტიზმი იქნება ის, სიმბოლიზმი, რეალიზმი თუ ბოლშევიკთა მიერ შეთითხნილი სოციალისტური რეალიზმი — შეუძლებელია.

გალაკტიონმა თავისი პოეზიის „გასაღები" თავადვე შემოგვთავაზა:

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს".

ამით პოეტმა თქვა ყველაფერი მათთვის, ვისთვისაც ქართული გენის, ქართული ხელოვნების, საზოგადოდ, სულიერების განცდა ორგანული ნაწილია არსებობისათვის, ვისთვისაც მზის ჩასვლა-ამოსვლა სამყაროს მშვენიერებისა და ჰარმონიის ყოველდღიური სასწაულია და არა მხოლოდ ასტრონომიული სხეულის ციკლური მოძრაობის შედეგი.

ასე რომ, გალაკტიონის ლექსის წვდომას სწორედ ამ განწყობით ვეცადოთ.

არის სხვა მეთოდიც, ე.წ. მეცნიერული, სკრუპულოზური კვლევისა, რომელიც ზოგჯერ ისეა გაუკუღმართებული, რომ მეტისმეტი „სერიოზულობის გამო", კაცს ღიმილს მოჰგვრის. გალაკტიონზე დაწერილი მშვენიერი მონოგრაფიის ავტორი რევაზ თვარაძე ირონიულად ამბობს:

„ჭეშმარიტ ლიტერატურათმცოდნეს მუდამ წინ უდევს ლექსიკონი. შეხვდება თუ არა ამა თუ იმ ლექსში საგულისხმო მხატვრული ხერხი, ჯერ თავისთვის დააზუსტებს. კარგად — ალიტერაციასთან აქვს საქმე, სინეკდოქესთან თუ პლეონაზმთან. მერე უაღრესად ბუნებრივად, უშუალოდ, შინაურულად გვეტყვის: „ამ პერიოდის ლექსებში პოეტი ხშირად მიმართავს სინეკდოქეს. რაც შეეხება ანაფორას, მრავალი მაგალითის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ დროისა და ადგილის სიმცირის გამო" და ასე შემდეგ. მერე თქვენ და მე აგრეთვე ხელთ ვიღებთ ლექსიკონს, უკვე ჩვენთვის ვაზუსტებთ ხსენებულ ტერმინთა მნიშვნელობას და თავს ვიმტვრევთ: ნეტავ რომელ ლექსებს გულისხმობდა განსწავლული ავტორი, რომელ ლექსშია სინეკდოქე და რომელში ანაკოლითფსი?"

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ სინეკდოქეებითა და ანაკოლითფსებით „დაყრუებული" ფრაზებით მსჯელობა უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანურად თქმა იმისა, რას წერს, როგორ წერს ავტორი და, რაც მთავარია, როგორ განვიცდით ჩვენ ამას.

ვახსენოთ ღმერთი და მივაშუროთ გალაკტიონის გენიით განათებულ პოეტურ სამყაროს.

გაგრძელება იქნება



# გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება (განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

# აფხაზეთის გასაღები გაგრაში იდო

## «რიგითი» მხედრიონელის პასუხად

### დავით ხომასურიძე

**გაზეთ „საქართველოში“ (1996 წ. 1-5 ივლისი, №26“) გამოქვეყნდა ბ-ნ ზურაბ დანელიას სტატია სათაურით „მე ხომასურიძე — გაგრის გმირი“, სადაც ავტორი (მხედრიონელი, რიგითი, როგორც იგი თავის თავს უწოდებს) დამცინავ და შეურაცხმყოფელ ეპითეტებს არ იშურებს ჩემს მიმართ, თუმცა ვერც ერთ ჩემს მიერ აღნიშნულ ფაქტს, რომელიც მე „მხედრიონთან“ მიმართებაში მოვიყვანე, ვერ უარყოფს (არგუმენტების უქონლობის გამო). ბ-ნი რიგითი ცდილობს ცილისწამებითა და ცინიზმით გაიდეს ფონს. მისგან განსხვავებით, მე ვეცდები ყოველგვარი გალიზიანების გარეშე, ფაქტების საფუძველზე დავადასტურო ჩემს ინტერვიუში ნახსენები ყველა შემთხვევა.**

**ახლა კი მივყვეთ რიგითი დანელიას სატირულ-იუმორისტულ „შედევრს“:**

**ბ-ნი რიგითი — ბატონი პოლკოვნიკი ცრუობს, როცა ამბობს, რომ 800 კაცი ჰყავდა, თანაც კარგად დისციპლინირებული. იგი არარსებულ სიტყვებს მიაწერს ბ-ნ თენგიზ კიტოვანს. ბ-ნი ჯაბა სწორედ ბატონ თენგიზ კიტოვანსა და ბ-ნ ე. შევარდნაძესთან თათბირის შემდეგ გადაფრინდა გაგრაში, ასევე ბატონების ჯონი ლატარიასა და ბადრი ფირცხელანის არაერთგზის თხოვნით.**

1. საინტერესოა, რის საფუძველზე შეაქვს ეჭვი მხედრიონელ რიგითს იმაში, რომ ჩვენ გაგრაში 800 გვარდიელი გვყავდა? ნეტავ რა „საიდუმლო“ ინფორმაციას ფლობს ამის თაობაზე? მე ინტერვიუში ნათლად და გარკვევით ჩამოვთვალე ყველა ის სამხედრო დანაყოფი, რომლებიც მხედრიონის ჩამოსვლამდე გაგრაში ჩვენს დაქვემდებარებაში იყო. აუცილებლობის შემთხვევაში ამის გადამოწმება სამხედრო უწყებაში (გვარდია) დღესაც არ წარმოადგენს არავითარ სირთულეს. მაგრამ, როგორც ჩანს, რიგითმა დანელიამ ეს ვერ გაითვალისწინა...

2. რისთვის მჭირდებოდა მე არარსებული სიტყვები მიმეწერა ბატონ თენგიზ კიტოვანისათვის, რომელსაც საკმაოდ დიდ პატივს ვცემ! კიდევ კარგი, ბატონი თენგიზი ღვთის წყალობით ცოცხალია და ჯანმრთელად არის. აუცილებლობის შემთხვევაში, ალბათ, დაადასტურებს კიდევაც იმას, რაც, ბატონო რიგითო, თქვენი ორგანიზაციისათვის ერთობ არასასიამოვნო იქნება.

სხვათაშორის, ბ-ნო რიგითო, მე არც ბატონ თენგიზთან და არც ბ-ნ ედუარდ შევარდნაძესთან ჩემს ინტერვიუში აღნიშნული საკითხის (როგორმე შემეჩერებინა მხედრიონის გაგრაში ჩამოსვლა) შესათანხმებლად მარტო არ ვყოფილვარ. ჩემთან ერთად კიდევ ორი ჩემი თანამებრძოლი ოფიცერი იყო და საჭიროების შემთხვევაში მათაც შეუძლიათ ამის დადასტურება.

3. რაც შეეხება იმას, რომ „მხედრიონი“ გაგრაში ბატონების ჯონი ლატარიასა და ბადრი ფირცხელანის არაერთგზის თხოვნით ჩამოფრინდა, ამაში მეც გეთანხმებით და ჩემის აზრითაც ვფიქრობ ეს ასე უნდა ყოფილიყო. მხედრიონელი ბადრი ფირცხელანი, რომ მხედრიონის ჩასვლას მოითხოვდა, აქ სადაო და გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება ჯონი ლატარიას, თქვენ არც კი დაფიქრებულხართ, ისე გამოააშკარავეთ გაგრის გამგებლის ბ-ნ ჯონი ლატარიასა და „მხედრიონის“ ალიანსი.

ისმის კითხვა: რა სამხედრო უფლებამოსილება ან სამხედრო თანამდებობა ჰქონდა ჯონი ლატარიას, რომ ის გაგრის სამხედრო შტაბთან შეთანხმების გარეშე (მისი გადაწყვეტილების წინააღმდეგ) ითხოვდა დამატებით შეიარაღებულ („მხედრიონი“) ძალას? საინტერესოა, ვის თხოვდა „მხედრიონის“ გაგრაში ჩამოსვლის შესახებ? თავდაცვის სამინისტროსათვის რომ ეთხოვა, ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტრო საჭიროების შემთხვევაში თავის რომელიმე სამხედრო დანაყოფს გააგზავნიდა. გვარდიის სამმართველოსათვის რომ ეთხოვა, ამ შემთხვევაშიც იგივე შედეგს მიიღებდა, რადგანაც ეს უკანასკნელიც თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარე უწყება გახლდათ. მე მგონი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაზეთ „საქართველოს“ მკითხველსაც თავისუფლად შეუძლია. ჯონი ლატარია თავდაცვის უწყების გვერდის ავლით „მხედრიონის“ ხელმძღვანელობას თხოვდა გაგრაში ჩამოსულიყო „მხედრიონი“. თუ რატომ უნდოდა ჯონი ლატარიას გაგრაში მაინცა და მაინც „მხედრიონის“ ჩამოსვლა, ამაზე ალბათ თავად უნდა გასცეს პასუხი.

კიდევ ერთი რამ, როცა მე ვლაპარაკობ, რომ გვარდიის მიერ ჩატარებული წარმატებული ოპერაცია ჯონი ლატარიამ გაგრის „მხედრიონს“ მიაწერა, რომელიც ამ ოპერაციაში საერთოდ არ მონაწილეობდა, და ეს ინფორმაცია ტელევიზიას მიაწოდა-მეთქი, თანაც ვამბობ, ამგვარი ფაქტები გვარდიასა და „მხედრიონს“ შორის გათიშულობასა და კონფრონტაციას იწვევდნენ-მეთქი, თქვენ, ბატონო რიგითო, გაკვირვებული მპასუხობთ:

**თქვენი ციტატა: საოცარია, საერთო გამარჯვებამ გათიშულობა და კონფრონტაცია რატომ უნდა გამოიწვიოს? თუ პირიქით?!!**

რა არის საოცარი?! რა, ახალი ამბავი გაიგეთ რამე? თუ, ამგვარ მეთოდებს არ მიმართავდნენ „მხედრიონი“ და მასთან დაახლოებული პირები ამ ორგანიზაციის პოპულარიზაციის მიზნით?!

გაურკვეველ მდგომარეობაში რომ არ დარჩეთ, ყოველი შემთხვევისათვის მოგახსენებთ: ამ ოპერაციაში მხოლოდ 26-ე ბატალიონის ნახევარი და ბატალიონ „ავაზას“ ორი ოცეული მონაწილეობდა („ავაზას“ ოცეულებს ამავე ბატალიონის ასმეთაური, მაიორი მერაბ ლორთქიფანიძე მეთაურობდა). სხვა დანარჩენი მებრძოლები რეზერვში დავტოვეთ, იმიტომ, რომ ზედმეტი ხალხი საჭირო არ იყო და მებრძოლებს შეიძლება ერთმანეთისათვის ხელიც კი შეეშალათ. თუ ამის აუცილებლობა იქნება, მე შემიძლია დაწვრილებით განვიხილო ამ ოპერაციის ყველა დეტალი, მაგრამ არა მგონია იგი საგაზეთო პუბლიკაციის თემა იყოს.

აქვე დავძენ, თქვენ რატომღაც ძალიან დაინტერესდით აღნიშნული ოპერაციის ჩატარების თარიღით, რადგან ასეთ რამეს ამბობთ:

**ბ-ნი რიგითი — პოლკოვნიკ ხომასურიძის სიტყვებით, „ერთ დღეს“ აფხაზებს გაგრის მიმართულებით შეტევა განუხორციელებიათ, რატომღაც ბატონი პოლკოვნიკი აფხაზების შეტევის თარიღს არ ასახელებს — ეტყობა, დღემდე ინახავს სამხედრო საიდუმლოებას,. ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულებულა.**

სამწუხაროდ, მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და ზუსტი რიცხვი არ მახსოვს (იქნებოდა დაახლოებით 19—24 აგვისტოს შუალედში. რომელი თარიღიც ზუსტად მახსოვს, ინტერვიუშიც ზუსტად ვასახელებ), მაგრამ არა მგონია ამას რაიმე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. თუ მაინცა და მაინც აუცილებელია თქვენი ინტერესის დაკმაყოფილება, ამ თარიღის დადგენა ძალიან მარტივად შეიძლება საინფორმაციო პროგრამა „მაცნეს“ ვიდეო არქივიდან. მოისმინეთ ჯონი ლატარიას მიერ მიწოდებული ინფორმაცია, შემდეგ ამ ინფორმაციის გადაცემის თარიღს გამოაკელით ერთი დღე და ამ თქვენთვის „მრავალუცნობიან განტოლებას“ მარტივად ამოხსნით: მას მხოლოდ ერთი ამონახსნი აქვს.

**ბ-ნი რიგითი: ახლა დავუბრუნდეთ პოლკოვნიკის ოდისეას გაგრაში. 200 ავტომატი ჩამოუტანია თბილისიდან, რომლის დიდი ნაწილიც მხედრიონს წაურთმევია — „ჩვენ იარაღი არა გვაქვსო“. საინტერესოა უიარაღოდ რა მოარბენინებდათ გაგრაში?.. „სხვათაშორის მხედრიონი გაგრაში დიდხანს არ დარჩენილა“.**

**ბ-ნი პოლკოვნიკის თქმით, 600 მხედრიონელი (თანაც უიარაღო) გაგრაში გვარდიის განსაიარაღებლად ჩასულა. მართლა საინტერესოა, ბ-ნო პოლკოვნიკო, იარაღი როგორ წაგართვათ 800 შეიარაღებულ დისციპლინირებულ ჯარისკაცს 600-მა უიარაღო მხედრიონელმა?**

**— როგორ და, თუ სიმართლე გინდათ, არც რვაასნი ყოფილხართ, არც დისციპლინირებულნი და ეტყობა, მაინცადამაინც, არც ბრძოლის სურვილი გქონდათ.**

ბ-ნო რიგითო! რატომ ამოჭერით ჩემი ციტატიდან მნიშვნელოვანი დეტალი? მე ინტერვიუში ვამბობ, რომ 200 ახალთახალი ავტომატი მე, მიშკა კერესელიძემ და გია ნებიერიძემ ჩავიტანეთ გაგრაში. ჩავიტანეთ და გადავეცით გაგრის სამხედრო კომისარს ბ-ნ ზურაბ პაქსაძეს გაგრის ბატალიონზე გასაცემად, იქ კი გაცემის პროცესში უკვე ჩამოსული მხედრიონელები მიუვარდნენ და წაართვეს დიდი ნაწილი-მეთქი.

ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ პაქსაძე, მიუხედავად მრავალი ჭრილობისა და კონტუზიისა, უფლის წყალობით დღეს ცოცხალია და გაგრის ახლად-შექმნილ ბატალიონზე ამ პროვოკაციული თავდასხმის დეტალებს, ჩემის აზრით, ის უკეთ წარმოადგენს, ვიდრე მე იმიტომ, რომ თავდასხმა მასზე მოხდა.

რაკი თავდამსხმელებმა განაცხადეს: „ჩვენ იარაღი არა გვაქვსო“, როგორ ფიქრობთ, მართლა უიარაღონი იყვნენ? არა მგონია ასეთი მიამიტი იყოთ.

ბატონო რიგითო, ბუნებრივია თავდასხმის ფაქტს არ უარყოფთ. ან კი როგორ უნდა უარყოთ ისეთი ფაქტი, რომელიც უამრავი ხალხის თვალწინ მოხდა. მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ის გახლავთ, რომ თქვენი ციტატა დღესაც არ კარგავს ამ ფაქტთან დაკავშირებულ მაპროვოცირებელ აქტუალობას. თქვენის აზრით, როგორ ფიქრობთ, თავდამსხმელებისათვის ცეცხლი უნდა გაეხსნა ახლად ფორმირებულ გაგრის ბატალიონს? ქართველების ხოცვით უნდა დაეწყო თავისი საბრძოლო ბიოგრაფია? ან გვარდიის სხვა ნაწილები უნდა ჩაბმულიყვნენ ამ ძმათამკვლელ ბრძოლაში? გამოდის, რომ მტერთან საბრძოლველად ჩასულ ქართველებს ერთმანეთი უნდა გვეჟლიტა.

„ბარაქალა!!!“

თქვენი და იმ თავდამსხმელების ცნობიერება დღესაც ემთხვევა ერთმანეთს.

კიდევ კარგი, გაგრის ბატალიონი მაშინ ამ პროვოკაციას არ აჰყვა, რასაც ბ-ნი ზურაბ პაქსაძის მტკიცე ნერვებსა და ვაჟკაცურ ბუნებას უნდა უმადლოდეთ, თორემ გაგრა, ალბათ, სწორედ იმ დღეს დაეცემოდა.

**ბ-ნი რიგითი — ბატონ პოლკოვნიკს თუ დავუჯერებთ, მის განკარგულებაში მყოფი 800 კაციდან 250 შერჩა ხელთ, აქედან 37 მხედრიონელი, დანარჩენი მოკლევადიან შვებულებაში წავიდა. 600 მხედრიონელიდან 563 თბილისში წავიდა და თან დაახლოებით 200-მდე ავტომატი გაიყოლა — რა ენაღვლებოდათ! ისმის კითხვა, სად იყო ამ დროს ბადრი ფირცხელანი? ისიც თბილისში გადაფრინდა თავისი გაგრის მხედრიონით, თუ მოკლევადიან შვებულებაში გაუშვა მარინაშვილმა? სხვათა შორის, ბ-ნო პოლკოვნიკო, ვაჟა ქრისტესაშვილი გაგრაში მძიმედ დაიჭრა — თითქმის წელიწადი იყო მიჯაჭვული საწოლს.**

კითხვაზე გიპასუხებთ: ამ დროს ბადრი ფირცხელანი გაგრის კომენდანტი გახლდათ და გაგრის მხედრიონთან ერთად კომენდანტის საათს ახორციელებდა. აქვე აღვნიშნავ, რომ გაგრის მხედრიონიდან ორი კაცი შემიძლია დავასახელო, რომლებიც ბრძოლის წინა ხაზზე გამოდიოდნენ და თავდაუზოგავად იბრძოდნენ, ესენი იყვნენ ლუხუმ ფალიანი და გენადი ხვიბლიანი.

რაც შეეხება ვაჟა ქრისტესაშვილს და მასთან ერთად გაგრაში დარჩენილ 36 კაცს, რომლებიც „მხედრიონს“ თბილისში არ გაჰყვნენ, მათ თაობაზე მე ჩემს ინტერვიუშიც აღვნიშნე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ. ისინი მართლაც სულით ხორცამდე მებრძოლები იყვნენ სხვებისაგან განსხვავებით.

ბ-ნი რიგითი — ვისაც არ უნდა ეთხოვა, ბ-ნო პოლკოვნიკო, შტაბის უფროსს ბრძოლის მიტოვების უფლება არა აქვს. გაიქეცით! უბრალოდ შეგეშინდათ და გაიქეცით! თან ყველაფრის გადაბრალება აწ გარდაცვლილ მიშა მარინაშვილზე არ გეკადრებათ, ბ-ნო პოლკოვნიკო!

ბ-ნო რიგითო, თქვენ შეგნებულად ცრუობთ და ცდილობთ მკითხველს თავგზა აუბნიოთ. როცა ბატონმა მიშა მარინაშვილმა თბილისში გამომიშვა (1992 წ. 30 სექტემბერი) არა თუ მაშინ, არამედ მის წინ თითქმის მთელი ერთი თვის მანძილზე მე უკვე შტაბის უფროსი აღარ ვიყავი. ყოველი შემთხვევისათვის შეგახსენებთ: 30 აგვისტოს დავიჭერი; 1 ან 2 სექტემბერი იქნებოდა, როცა გენერალი პაატა დათუაშვილის დაჟინებული თხოვნით თბილისში წამოვედი (მაშინ ჯერ კიდევ მართლაც შტაბის უფროსი ვიყავი, მაგრამ შტაბი ჩემმა შემდგომმა — გენერალმა დათუაშვილმა ჩაიბარა); 3 სექტემბერს დაიდო სწორედ ის ავადსახსენებელი ხელშეკრულება; ნაკერების ახსნისთანავე, 4 ან 5 სექტემბერი იქნებოდა, მე უკან დავბრუნდი და გზად სოხუმში შევხვდი გენერლებს: პაატა დათუაშვილსა და გია ყარყარაშვილს, რომელთაგანაც შევიტყვე, რომ გაგრის შტაბის უფროსად პოლკოვნიკი მარინაშვილი იყო დანიშნული. იმ დღიდან მე მხოლოდ და მხოლოდ 26-ე ბატალიონის მეთაური ვიყავი და, როგორც ყველა სხვა ბატალიონის მეთაური, შტაბის ჩვეულებრივ წევრად ვითვლებოდი; 3 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე გაგრაში არავითარ აქტიურ საბრძოლო [illegible] არ ჰქონია. [illegible] რეჟიმზე [illegible] რედ 3 [illegible] ლებიდან გამომდინარე; 30 სექტემბერს გამომიშვა მარინაშვილმა დავალებით თბილისში, რომ ხელმძღვანელობისათვის მომეხსენებინა ან დამკვირვებლები ჩამოსულიყვნენ დროზე ან მოგვცემოდა აქტიური მოქმედების უფლება. სხვათაშორის ამის თაობაზე მარინაშვილი მანამდეც არა ერთხელ მიმართავდა ხელმძღვანელობას ტელეფონითაც და სოხუმის შტაბის მეშვეობითაც, რასაც თავის უკანასკნელ ინტერვიუშიც აღნიშნავს; 1-2 ოქტომბერს დაეცა კოლხიდა და გაგრა; 3-4 ოქტომბერს განთიადი და ლესელიძე.

ასე რომ, ბატონო რიგითო, არც მე ვაბრალებ მარინაშვილს რამეს და არც მას ჰქონდა რაიმე დანაშაული ჩადენილი, იგი ცამდის მართალი კაცი იყო.

თქვენ კი ლაფისა და ტალახის სროლის ნაცვლად ჯობდა ყველაფერი გაგეანალიზებინათ და თუ ეს თქვენთვის შესაძლებელი იქნებოდა, არგუმენტირებული პასუხი გაგეცათ ჩემთვის.

**ბ-ნი რიგითი — როგორც იქნა აღიარეთ! თურმე ბრძოლა სწყუროდათ, თურმე გახარებიათ შეტევის დაწყება. გარდა იმისა, რომ სინდისი არ გაწუხებთ, ამ აბზაცში თქვენი, როგორც ოფიცრის, რეპუტაციისათვის ერთობ საზიანო სიმართლეც წამოგცდათ: „მხედრიონს“ ბრძოლა სწყუროდა, ბატონი ჯაბა თქვენგან კვალიფიციურ გადაწყვეტილებას, შეტევის გაძღოლას მოითხოვდა. თქვენი პასუხი — „თქვენ დაგეგმეთ“ — ან ცბიერება იყო, ან ცბიერებით შენიღბული ლაჩრობა.**

უნდა დაგამწუხროთ. არც ცბიერება გახლდათ და არც ცბიერებით შენიღბული ლაჩრობა. ასე რომ ყოფილიყო, იერიშის გაძღოლას მე ჩემს თავზე არ ავიღებდი. შემეძლო ინიციატივა პოლკოვნიკ აკია (ალექსანდრე) ბარბაქაძისთვის დამეთმო, რომლის მოადგილედაც და შტაბის უფროსადაც მე ვითვლებოდი, ანდა სულაც ოპერაციის ხელმძღვანელობა ბატონ ჯაბა იოსელიანისათვის გადამელოცა, იგი მაშინ იურიდიულადაც და ფაქტიურადაც სახელმწიფოში მეორე კაცად ითვლებოდა, ამასთანავე სამხედრო ფორმა ეცვა და 600 კაციან შეიარაღებულ რაზმს („მხედრიონს“) მეთაურობდა. მიუხედავად ზემოთ თქმულისა და იმ ქაოტური სიტუაციისა, რაც იქ იყო, იერიშის გაძღოლა მე ჩემს თავზე ავიღე და უშუალოდ ბრძოლის ველზე ვახდენდი საბრძოლო დანაყოფების კოორდინირებას.

„მხედრიონმა“ მარცხენა ფლანგზე თითქმის საათნახევარზე მეტი ხნით დააგვიანა. ცენტრი უკვე იფნარში იყო შესული, მარჯვენა ფლანგი მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, მარცხენა ფლანგზე კი ჯერ ისევ მოწინააღმდეგე იყო.

გესმით, რას ნიშნავს, ბ-ნო რიგითო, იერიშის დროს ფლანგის საათნახევრით დაგვიანება?!

მე ორჯერ გამოვაგზავნე შტაბში ფრონტის წინა ხაზიდან მიკრიკი, მარცხენა ფლანგი რატომ არ იბრძვის-მეთქი. ვერცერთი უკან ვერ მობრუნდა.

ფლანგის დაგვიანების გამო იძულებული გავხდი ჯერ სვლა შემეჩერებინა, შემდეგ კი იფნარში შესული ცენტრი უკან გამომეთხოვა, რადგან მარცხენა მხრიდან ცეცხლი დაუბლოკავი იყო და მაგისტრალზე ტყვიის სეტყვა მოდიოდა.

ბოლოს მე თვითონ გამოვედი შტაბში, სადაც დამხვდა ამბავი, რომ „მხედრიონი“ კარგა ხნის წამოსული იყო (როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მათ ძირითად ნაწილს მიმართულება შეშლოდა და ტყეს ალპიური ზონისაკენ შეჰყოლოდა). უკან რომ დავბრუნდი, მარცხენა ფლანგი ჯერ კიდევ არსად ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა შორიდან მოისმა სროლის ხმა. ნელ-ნელა გვიახლოვდებოდნენ. სწორედ, ამ დროს დავიჭერი. საავადმყოფოში გასვლის წინ ბრძანება დავტოვე ფრონტის ხაზის გასწორებისთანავე იერიში გაეგრძელებინათ. უკან რომ დავბრუნდი, ბინდდებოდა, მოსაღამოვებულზე იერიშის გაძღოლა არცერთ ბატალიონის მეთაურს თავის თავზე არ

გაგრძელება მე-8 გვ.

მეშვიდე გვერდიდან

# აფხაზეთის გასაღები გაგრაში იდო

ველო. სწორიც იყო, ღამით ბრძოლას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, ამიტომ პოზიციებს უკვე საინჟინროდ ამზადებდნენ.

დროში გაწელილმა საბრძოლო ოპერაციამ სრულ წარმატებას ვერ მიაღწია და სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ შეიძლებოდა განმეორებითი იერიშის დაწყება, როცა სიტუაცია დალაგდებოდა და მთლიანად მართვადი გახდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ამ ოპერაციიდან მეოთხე დღეს — 3 სექტემბერს მოსკოვში უმაღლეს დონეზე დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აქტიური საბრძოლო მოქმედება აგვეკრძალა. ბზიფი მოწინააღმდეგე მხარეს დარჩა.

თქვენ, ბ-ნო რიგითო, ჩემი ციტატიდან შეგნებულად ამოჭერით ერთი ფრაზა, ამიტომ იმ ადგილს ერთხელ კიდევ გავიმეორებ: **„მე არ მინდოდა ამ არეულ სიტუაციაში იერიშის დაწყება, ბევრი ხალხი მოვგროვდით. გაგრა კი, მოგეხსენებათ, ერთი ვიწრო ზოლია, გაშლილ ბრძოლას ვერ აწარმოებ“.**

რატომ მოაკელით ჩემს ციტატას უკანასკნელი წინადადება, რომელიც ცხადყოფს, რომ გაგრაში გაშლილ ბრძოლას ვერ აწარმოებ და იერიშზე ცოცხალი ძალის სიჭარბე უარყოფით შედეგს გამოიღებს, მებრძოლები ერთმანეთს ხელს შეუშლიან და ავანგარდში მყოფნი შეიძლება არიერგარდიდან ნასროლი ტყვიებით დაიღუპონ.

რაც შეეხება „თქვენ დაგეგმეთ“-ს, ეს დროის მოგების მიზნით ნათქვამი სიტყვები გახლდათ, რათა სიტუაცია შედარებით მაინც დალაგებულიყო, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით განგვეხორციელებინა (ჩვენ დაგეგმილიც გვქონდა და გაანალიზებულიც. საჭიროების შემთხვევაში ამ გეგმის ყველა დეტალის განხილვა შემიძლია დაწვრილებით). სამწუხაროდ, იერიში მაინც სტიქიურად დაიწყო, რაზედაც მე ჩემს ინტერვიუში უკვე გავამახვილე ყურადღება და აქ ხელახლა აღარ გავიმეორებ.

„მხედრიონის“ გაგრაში ჩამოსვლამ ფაქტიურად გვარდიის ბრძოლისუნარიანობა დააქვეითა, რაც ამ ორგანიზაციის ამორფულობამ და სტიქიურობამ განაპირობა. უფრო მეტიც, მხედრიონმა გაგრა თავისი გავლენის სფეროდ აქცია. შემდეგ კი უცბად მიატოვა და ერთბაშად თბილისში წამოვიდა, მცირედი ნაწილის გარდა.

როცა მე „მხედრიონს“ განვიხილავ, როგორც საბრძოლო ორგანიზმს, ეს მთლიანად ორგანიზაციას, მის შიდა და გარე სტრუქტურულ ფორმებს ეხება. ე.ი. ეხება მის შიდა სტრუქტურულ წესრიგს და მის გარე მდგომარეობას, ანუ მის ადგილს სხვა საბრძოლო დანაყოფებს შორის.

ამ ორგანიზაციის წევრთა შორის, ცხადია, იყვნენ ვაჟკაცობით გამორჩეულები, პირადი მაგალითის მიმცემი მებრძოლები (რომელთაგანაც მე არა ერთი აღვნიშნე ჩემს ინტერვიუში), მაგრამ ამ ძლიერი ინდივიდუალური თვისებების მქონე მებრძოლთა წარმატებით გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ეს ორგანიზმი სტრუქტურულად აწყობილია სტრუქტურულობის ორივე, შიდა და გარე წესრიგის გათვალისწინებით და თანაც მართვადი. მთლიანობაში „მხედრიონი“ ამორფული ორგანიზმი იყო. ასეთი ორგანიზმის მართვა კი ბრძოლის ველზე ყოვლად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური მებრძოლი თვისებებით დაჯილდოვებულ პირთა საბრძოლო პოტენციალი ორგანიზაციის ამორფულობაში იკარგება და ისინი ხშირად ბრმა ტყვიის მსხვერპლნი ხდებიან, სწორედ ამ ორგანიზაციის ამორფულობისა და სტიქიურობის გამო.

როგორც უკვე აღვნიშნე, „მხედრიონს“ შიდა სტრუქტურული წესრიგი არ გააჩნდა, სწორედ ამის გამო იგი ვერც გარე სტრუქტურაში თავსდებოდა და, აქედან გამომდინარე, გვარდიის ნაწილებს შორის თავის ადგილს ვერ იკავებდა, უმართავი ხდებოდა და სწორედ ამიტომ ამ ორ სხვადასხვა ორგანიზმს ერთად ბრძოლა ან თითქმის არ შეეძლოთ ან ძალიან უჭირდათ.

გვარდიას და „მხედრიონს“ ბზიფის ოპერაცია ერთობლივად რომ არ ჩაეტარებინათ, იგი წარმატებით დაგვირგვინდებოდა. უფრო მეტიც, ჩვენ შევძლებდით ამ ოპერაციის მინიმალური მსხვერპლით განხორციელებას (წინა ოპერაციების მსგავსად). თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბზიფის დაკავებას სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ამას დიდი სამხედრო ცოდნა და გამოცდილება არ სჭირდება. დახედეთ რუკას, ბატონო რიგითო, და ამაში თქვენ თვითონ თვალნათლივ დარწმუნდებით. ბზიფი საკმაოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულების პუნქტი იყო. ყოველი შემთხვევისათვის, ჩამოგითვლით იმ ყველა მოსალოდნელ შედეგს, რაც უნდა მოჰყოლოდა ბზიფის ოპერაციის წარმატებით განხორციელებას:

1. ბზიფის დაკავებით ჩვენ ფაქტიურად შუაზე ვწყვეტდით აფხაზებსა და მათ ორ აქტიურ მოკავშირეს: კავკასიელ მთიელთა კონფედერატების ბოევიკებს, რომლებიც მთებიდან გადმოდიოდნენ ავადხარას გზით, და რუსეთის სპეცსამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მათ ინსტრუქტორებად მოჰყვებოდნენ, ამასთანავე ჩვენს კონტროლს ვუქვემდებარებდით ავადხარასაკენ მიმავალ გზას და სასაზღვრო ზოლს ფსოუდან ავადხარამდე და მის იქეთ.

2. ბზიფის ოპერაციამდე ჩვენ საკმაოდ წარმატებული ოპერაციები ჩავატარეთ (თითქმის უმსხვერპლოდ) ალპიურ გზაზე და კოლხიდაში. აქედან გამომდინარე, ბზიფის ოპერაციის წარმატებით განხორციელება (ტერიტორიულ უპირატესობასთან ერთად) უპირველეს ყოვლისა დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური გამარჯვების მომტანი იქნებოდა როგორც ჯარისკაცთა შორის, ისე ჩვენს ზურგში, რაც აუცილებლად აისახებოდა დადებითი შედეგებით ბრძოლის ველზე. საპირისპიროდ ამისა, მოწინააღმდეგის ზურგში შეიქმნებოდა უიმედო და დემორალიზებული განწყობილება, რაც ასევე ჩვენი წარმატების საწინდარი იქნებოდა.

3. ბზიფის ოპერაციის შემდეგ ძალიან სწრაფად მოხდებოდა ალახაძე-ბიჭვინთა-ლიძავას დაკავება. ფაქტიურად სეპარატისტები მხოლოდ გუდაუთაში და მის შემოგარენში იქნებოდნენ მომწყვდეულები. სანაცვლოდ ჩვენს კონტროლს დაექვემდებარებოდა მთელი საზღვაო სანაპირო ლესელიძედან ბიჭვინთამდე და მთელი სასაზღვრო ზოლი ფსოუდან ავადხარამდე და მის იქით, ფსხუს აეროდრომის ჩათვლით. ყოველივე ამის შემდეგ სეპარატისტებს ისღა დარჩებოდათ, რომ იარაღი დაეყარათ და ხელები აეწიათ. აი ასეთ პირობებში შეიძლებოდა ყველაფერი პოლიტიკურად მოგვეგვარებინა და ვერც აფხაზთა გენოციდს დაგვწამებდა ვინმე. სამწუხაროდ, აფხაზებმა, რუსებმა და ჩრდილოეთ კავკასიელმა კონფედერატებმა ერთად ჩვენ აქეთ მოგვიწყეს გენოციდი.

4. სამი სექტემბრის ხელშეკრულება სწორედ ჩვენი სამხედრო უპირატესობის ფონზე დაიდო (მიუხედავად იმისა, რომ ბზიფის ოპერაციაში მხოლოდ ტერიტორიულ უპირატესობას მივაღწიეთ ბზიფის დაკავების გეგმა კი ვერ განვახორციელეთ). მართალია, მაშინ ეს ფაქტი მხოლოდ და მხოლოდ ქართული დიპლომატიის წარმატებად ჩაითვალა, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვანაირად იქნებოდა. ჩვენ რომ გაგრაში სამხედრო უპირატესობა არ გვქონოდა, შეიძლება არც ეს ხელშეკრულება დადებულიყო. სწორედ აქ იყო დაშვებული შეცდომა. ეს ხელშეკრულება წმინდად დიპლომატიურ გამარჯვებად ჩაითვალა (მაშინ ამ ხელშეკრულებას ტელევიზიითაც დიდ ქება-დიდებას ასხამდნენ ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსები) და სამხედრო თვალსაზრისით ყურადღება მოდუნდა. მოკლედ, ამ ხელშეკრულებას ყველა ენდო და საქმე საბრძოლო მდგომარეობის კონსერვაციისაკენ წავიდა. სოხუმის ფრონტზე შეიქმნა მხარეთა დაშორიშორების ბუფერული ზონა და იქ დამკვირვებლები ჩადგნენ. ანალოგიურად გაგრის ფრონტზეც შეიქმნა ბუფერული ზონა, რომლის შექმნის მიზნითაც ჩვენ დაგვწიეს დაახლოვებით 1,2-1,5 კმ-ით უკან, მაგრამ გაგრის ზონაში დამკვირვებლები არ ჩადგნენ. დაიწყო პრობლემის პოლიტიკურად მოგვარების პროცესი. ამასობაში თითქმის ერთი თვის მანძილზე მტერი საფუძვლიანად მოემზადა და 1 ოქტომბერს ეს ხელშეკრულებაც დაარღვია კოლხიდა-გაგრაზე იერიშის დაწყებით. რომ არ დაცემულიყო გაგრა, არ დაეცემოდა სოხუმი, რომ არ დაცემულიყო სოხუმი, არ დაიკარგებოდა აფხაზეთი. აფხაზეთის დროებითი მარცხის (დროებითი იმიტომ, რომ მე მჯერა ჩვენ მაინც დავიბრუნებთ აფხაზეთს) მიზეზები სათავეს გაგრიდან იღებს. აფხაზეთის გასაღები გაგრაში იდო.

ასე რომ, ბატონო რიგითო, ჩემს ინტერვიუში ბზიფის წარუმატებელი ოპერაციის აღწერისას, რისი მიზეზიც სწორედ „მხედრიონის“ სტიქიური მოქმედება იყო, თქვენ ტყუილად შემყვირეთ თქვენს სტატიაში.

**თქვენი ციტატა — ჰა, როგორია! [illegible]**

მე გაგრის ზონაში ჩატარებულ წარუმატებელ ოპერაციაზე ვსაუბრობ. თქვენ კი სერიოზული პასუხის ნაცვლად მეშაირებით. ახლა რა ვქნა?! მეც დავიწყო?! „მე შაირი არ მინდოდა შენ ამტეხე“-მეთქი. ნურას უკაცრავად... გაგრის ტრაგიკული თემის განხილვა ტაკი-მასხრულ ჰრილში არ შეიძლება. თუ შეგიძლიათ ანალიტიკურ და არგუმენტირებულ პასუხს გამეცით.

ბ-ნი რიგითის ციტატა: **„გია ყარყარაშვილზე ნაწყენი ყოფილა; აწ გარდაცვლილი მიშა მარინაშვილზე: „იგი გამოწრთობილი ოფიცერი იყო, მაგრამ საბჭოთა სკოლა ჰქონდა გავლილი — მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ წარმატებით მოქმედება, როცა ჯარი აწყობილია და ბრძანებებს უმორჩილება“. „ეტყობა, სომასურიძეს ან „ვესტპოინტის“ სამხედრო აკადემია აქვს დამთავრებული, ანდა სულაც „სენ-სირის“ ანალოგიური სასწავლებელი. ბატონ ჯაბა იოსელიანს მასხარად იგდებს, ბ-ნ თენგიზ კიტოვანს ცილს სწამებს. არც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ტოვებს უყურადღებოდ“.**

რაც შეეხება საბჭოთა სამხედრო სკოლას, რომელიც მე ბატონ მიშა მარინაშვილთან მიმართებაში ვახსენე, იგი სულაც არ გულისხმობს სამხედრო პროფესიული მომზადების დონეს (ეს ციტატიდანაც კარგად ჩანს), რომელიც პოლკოვნიკ მარინაშვილს არ აკლდა. პირიქით, იგი საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალი იყო. საბჭოთა სამხედრო სკოლა შეუვალ დისციპლინაზე იყო აგებული, ეს აქსიომაა. და აქედან გამომდინარე, ამ სკოლის ოფიცრები ჯარს წარმატებით მაშინ ხელმძღვანელობენ, როცა იგი სტრუქტურულად აწყობილია და მართვადი, როცა მეთაურს აქვს საშუალება დისციპლინის მცირედი დარღვევისათვისაც კი დასაჯოს ხელქვეითი. მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ემართა მარინაშვილს ამორფული „მხედრიონი“. მარინაშვილი კი არა, ამ ყოველგვარ სტრუქტურულობას მოკლებული ორგანიზაციისათვის გენერალი-სიმუსიც რომ გესარდლათ, მკაცრი დამსჯელი ზომების გარეშე ისიც კი ვერ უხელმძღვანელებდა მანამ, სანამ მას მართვად ორგანიზმად არ აქცევდა, რაც გაგრის პირობებში ყოვლად შეუძლებელი იყო.

და კიდევ ერთი რამ: არც ის მითქვამს, გია ყარყარაშვილზე ნაწყენი ვარ მეთქი; არც ბ-ნი ჯაბა იოსელიანი ამიგდია მასხარად (ვინმეს მასხარად აგდება ჩემი სტილი არ არის თქვენგან განსხვავებით); არც ბატონი თენგიზ კიტოვანისათვის დამიწამებია ცილი და არც ბატონი ედუარდ შევარდნაძის მიმართ გამომიჩენია რაიმე „განსაკუთრებული ყურადღება“. მე მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია მოვახდინე.

P.S. ბ-ნო რიგითო, მიუხედავად თქვენი შეურაცხმყოფელი და გაღიზიანებული ტონისა, მე მაინც მინდა მადლობა გითხრათ გამოხმაურებისათვის. იმედია შუა გზაზე არ მიმატოვებთ და გაგრის ბრძოლების ჩემგან განსხვავებულ ანალიზსაც ვიხილავ, რაც, ჩემის აზრით, კიდევ უფრო აქტუალურს გახდის გაგრის თემას, რადგან მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ტრაგედია სათავეს გაგრიდან იღებს.



თარაზულად: 1. სახელმწიფო ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე; 7. მედიცინაში გამოყენებული თეთრი ფხვნილი — მაგნიუმის ჟანგი ან მარილი; 8. ქართველი პოეტი; 10. გაეროს გენერალური მდივანი; 11. ქალაქი უზბეკეთში; 14. ბიბლიური პერსონაჟი — საკუთარი ძმის მკვლელი; 15. სადგომი ბინაში; 16. ლაღი, თავისუფალი ფრენა (ფრინველისა), სიარული (სირბილი, ხტომა, თამაში); 17. ზუსტი მიბაძვა, მიმსგავსება; 20. პლასტმასებისა და სინთეტიკური კაუჩუკის წარმოებაში გამოყენებული ნახშირწყალბადი; 23. ომში ნაშოვნი ქონება, იარაღი და სხვა; 25. კრემიანი ნამცხვარი; 27. ძველ რომში და შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელებული წონის ერთეული მეტრული სისტემის შემოღებამდე; 28. ქართველი მეფე-პოეტი; 29. მკვდარი ადამიანის სხეული; 32. ჰურჰელი; 34. პურის ჭამა საღამო ჟამს; 36. სახელმწიფო ქალაქ რომის ცენტრში; 39. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა; 41. ბრტყლად შემწვარი ვარია; 42. ქვეყანა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში.

შვეულად: 2. ძველი, გამოცდილი მეომარი; 3. ქალაქი რუსეთში, როსტოვის ოლქში; 4. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 6. საჭმელი (ზოგჯერ — საჭმლის საკაზმი); 9. ცხოველის ან ფრინველის ფეხი თეძოს სახსრიდან მუხლის თავამდე; 12. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 13. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში; 18. დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. სითბოს მოკლებული, ესე იგი... 21. მანქანების, მექანიკური იარაღების და მოწყობილობების ერთობლიობა; 22. თავბრუ, ანუ... 24. დარდი, მწუხარება; 26. ძველ რომაელთა ზედა ტანსაცმელი; 30. სოფელი საჩხერის რაიონში; 31. მადა, სურვილი, ნდომა (სასაუბრო სიტყვა); 33. კონგოს (ახლა ზაირის) რესპუბლიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე, ეროვნული გმირი; 34. ელექტროდენის სიმძლავრის საზომი ხელსაწყო; 35. რადიომიმღების ტიპი; 37. ორგანიზაციის (კოლექტივის, ჯგუფის...) თავმოყრა სათათბიროდ; 38. თოკის, ძაფის და მისთანების ერთმანეთთან გადაბმის ადგილი; 40. მეფის რუსეთში დამნაშავის დასჯის დროს ხმარებული წკეპლა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი:

**თარაზულად:** 1. სმენა; 3. ორე; 5. ანწლი; 7. რიეკა; 9. ავიზო; 10. ლაქია; 13. მარიხი; 14. მდაბიო; 15. კედარი; 17. გეზელი; 19. ადათი; 24. ინდიო; 25. კინტო; 26. პირეი; 27. ორგია; 28. მისხი; 29. ინფიქსი; 30. ისაკაძე.

**შვეულად:** 2. ნეკერი; 3. ოგეშა; 4. ედემი; 6. ნევადა; 9. კამეა; 10. ლიბია; 11. ამაგი; 12. ნისლი; 16. აბრისი; 18. ზენიტი; 20. დებიუტი; 21. თეკერეი; 22. ნილოსი; 23. კორიფე.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41